# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 16 ივლისი 2007 №161 (3084) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველანი მიყვარხართ!












## თემურ ქეცბაია ამაყი და ნაღვლიანია: რატომ ვერ კეთდება საქართველოში ის, რაც კეთდება სხვაგან?!

1988 წელი იყო, თბილისის „დინამო“ შინ 0:2 აგებდა მოსკოვის „ტორპედოსთან“. შეცვლაზე ახალგაზრდა ბიჭი შევიდა, ცეცხლი დაანთო მინდორზე — გოლიც გაიტანა და თამაში ბოლო წუთებზე გადაარჩინა.

თემურ ქეცბაია მაგარი ფეხბურთელი დადგებაო, ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ — ის მართლაც გამორჩეული იყო, ყველაფერი ჰქონდა, რაც კარგ შემტევს უხდება: ტექნიკა და ფიზიკური გამძლეობა ხომ ცალკე და ხასიათი? ნამდვილი მებრძოლი, გლადიატორი...

14 ივლისს თემურ ქეცბაია კიდევ ერთხელ გავიდა მინდორზე როგორც ფეხბურთელი — მისი ბოლო მატჩი იყო. კვიპროსულ ლარნაკას სტადიონზე ქეცბას ლამაზი საღამო დაუდგეს — მეგობრებთან, მათ შორის, რევაზ და არჩილ არველაძეებთან, გიორგი ნემსაძესთან, გოჩა ჯამარაულთან, სოსო ჭედიასთან, კახა ცხადაძესთან, მურთაზ შელიასთან და გიორგი ქინქლაძესთან ერთად გააგორა ბურთი.

ისე როგორ იქნებოდა, ამ ლამაზ თამაშში, რომელიც მისმა არაკვიპროსელმა მეგობრებმა 6:4 მოიგეს, თემურს გოლი არ გაეტანა...

მხურვალე ტაში, ბევრი მოფერება, დიდი სიყვარული — ასე გააცილეს ქეცბა...

— გუშინდელი დღე ჩემთვის ადვილი არ ყოფილა. ადამიანი რომ საყვარელ საქმეს ეთხოვება, ყოველთვის ნაღველი რჩება, მაგრამ დიდი სიხარული მაჩუქეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ — გვითხრა თემურ ქეცბაიამ, როცა კვიპროსზე დავუკავშირდით — ამ საჩუქრით დავამთავრე ფეხბურთელის კარიერა და ამაყი ვარ: ხალხს ვუყვარვარ, ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს...

**— ალბათ, ორმაგად გაგიხარდებოდათ, გაცილება საქართველოში რომ მოეწყოთ...**

— მე ჩემს საქმეს ყოველთვის ვაკეთებდი, ნაკრებში ჩამოვდიოდი, სულსა და გულს ვდებდი თამაშებში... ჩემი გაცილება ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვერავის დავავალდებულებ. კარგია, რომ ქართველებმა ნახეს ჩემი გაცილება: ეს მათთვის სტიმული იქნება, ითამაშონ ისეთი ფეხბურთი, რომ ტაში და სიყვარული დაიმსახურონ. კარგი იქნებოდა, საქართველოში გამართულიყო ეს თამაში, მაგრამ...

**— ბევრი ისეთი ფეხბურთელი ვერ ჩამოვიდა, ვისაც ელოდით?**

— რა თქმა უნდა. ყველანი რომც ყოფილიყვნენ, ათი თამაში არ ეყოფოდა. ზოგს ვიზის პრობლემა შეექმნა, ზოგი დაკავებული იყო. 20 წელი ვითამაშე ფეხბურთი და კარგად ვიცი, რამდენს ნიშნავს მოსამზადებელი პერიოდი. ამ დროს თუნდაც ერთი დღით საქმის მოწყვეტამ შეიძლება სეზონი წყალში ჩაგიყაროს.

**— დიდი კარიერა გაიარეთ და ყველაზე ბედნიერად რომელ პერიოდს იხსენებთ?**

— ყველგან თავდაუზოგავად ვშრომობდი და დაფასებაც არ მაკლდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებში პირველ ნაბიჯებს, პირველ ოფიციალურ მოგებას სხვა ადგილი უკავია ჩემს გულში — უელსთან 5:0 რომ მოვიგეთ და ორი გოლი გავიტანე.

**— ყველაზე მეტად რაზე წყდება გული თემურ ქეცბაიას?**

— უმადური კაცი არ ვარ, მაგრამ უკეთეს პერიოდში რომ დამეწყო თამაში, მეტს მივაღწევდი. თუნდაც დღეს რომ ვიწყებდე კარიერას... ჩემი ახალგაზრდობისას კი, კარგად იცით, როგორი ძნელი პერიოდიც იყო, გული მწყდება, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატზე ვერ ვითამაშე, ეს ჩემი ოცნება იყო, რომელიც ვერ ავიხდინე...

**— გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ, ცხადია, ქართულად მოულხენდით...**

— რა თქმა უნდა, უამისოდ აბა, როგორ იქნებოდა. მხიარულობა გვიანობამდე გაგვიგრძელდა...

**— ახლა კი „ანართოსისის“ მთავარი მწვრთნელი ხართ და ჩვენც გისურვებთ, სამწვრთნელო კარიერა ფეხბურთელის კარიერაზე არანაკლებ საამაყო გქონდეთ...**

— დიდი მადლობა! აქვე ვისარგებლებ და დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩემს გულშემატკივრებს, ვისაც თემურ ქეცბაიას თამაშის ყურება უხაროდა... ყველანი მიყვარხართ!

**ილია ნანოგაშვილი**



## რიგგარეშე მოწოდება ქართულ ჩოგბურთში ლეილა მესხს გადაირჩევენ?

ქართულ სპორტში განხეთქილების ახალი და მეტად მწვავე კერა წარმოიშვა.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ლეილა მესხის მუშაობით უკმაყოფილო ფედერაციის წევრებმა, რომელთაც შორისაც ქართული ჩოგბურთის არაერთი ცნობილი სახეა, ფედერაციის წესდებიდან გამომდინარე, რიგგარეშე ყრილობის ჩატარება და ამ ყრილობაზე ახალი პრეზიდენტის არჩევა გადაწყვიტეს.

ყრილობის ჩატარება 31 ივლისსაა დაგეგმილი.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრთა საგანგებო განცხადება იხილეთ მე-10 გვერდზე.

# ბრაზილიამ არგენტინა შეაზანზარა

# 3






# 0

# ლაუდრუპის ჯილდო

## არველაძე და ლევანტე: დღეს-ხვალ ოფიციალურად



**შოთა არველაძე** დღეს-ხვალ ჩავა ვალენსიაში. იგი ამჟამად ჰოლანდიაშია და გათავისუფლების ფურცელს ჩაიტანს „ლევანტეში", სადაც წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია და ახლა ტრანსფერს ოფიციალური სახე მიეცემა.

ესპანურ „ასში" შოთას აგენტის, თურქი ბაირამ თუთუმლუს სიტყვებია, თუ როგორ დაუხასიათა ჩვენიანი „ლევანტეს": „არველაძე 34 წლის კია, მაგრამ 20 წლის ახალგაზრდასავით მიზანდასახულია. იგი ძველებურად დიდ სიამოვნებას იღებს თამაშით და გოლებით. მიქაელ ლაუდრუპმა თქვა, არველაძე საუკეთესო თავდამსხმელთაგანია, ვისთანაც კი ოდესმე მითამაშია, უსიტყვოდ მიგებდაო".

დიდი დანიელის გვერდით კი რამდენ დიდ ვარსკვლავს უთამაშია, ვინ მოთვლის... მარტო პრებენ ელკიერ-ლარსენის, რომარიოს, ხრისტო სტოიჩკოვის და რაულის დასახელებაც კმარა...

**ილია ნანობაშვილი**

# კობიმ ბოროს გადაურბინა

**„ფრაიბურგმა"** მიჯრით ორი საკონტროლო მატჩი გამართა, ორივე ქვედალიგელებთან და, შესაბამისად, 6:2 და 2:1 მოიგო. პირველ შეხვედრაში ოთარ ხიზანეიშვილმა სრულად ითამაშა, მეორეში კი მწვრთნელმა ძირითადში დააყენა, შემდეგ შეცვალა და თამაშის ბოლოს ისევ შეიყვანა მინდორზე. ოთარი მარჯვენა ცენტრალურ მცველად გაისარჯა...

გელზენკირხენის „შალკემ" ინგლისურ „მიდლსბროს" 3:0 გადაურბინა. ლევან კობიაშვილი ფაბიან ერნსტთან ერთად საყრდენ ნახევარმცველად თამაშობდა და 62-ე წუთზე შეცვალეს — ამ დროს „ხუმარებს" სამივე გოლი გატანილი ჰქონდათ, თუმც ლევანს გოლი ან საგოლე პასი არ მიუთვლია.

თუნელი სანდრო იაშვილი კვლავ შეცვლაზე შევიდა — მისიანები 1:1 გაეყარნენ ფრანგულ „ნიცას". „იაშკამ" 61-ე წუთზე შეცვალა გოლის ავტორი სენეგალელი ფაიე.

სანდრომ თავადვე გვითხრა, ჯერ სასურველ ფორმაში ვერ ვარ, უვარჯიშებელი ვიყავი და თავიდან, შესაძლოა, შეცვლებზე ვითამაშოო.

**ილია ნანობაშვილი**

# ღვინიანიძე ძირითადში და დაცვაში დაბრუნდა

**მეორე** ბუნდესლიგის ბოლო ტურებში და წინა ტესტ-მატჩშიც „მიუნხენ 1860"-ის თავკაც მარკო კურცს მათე ღვინიანიძე შეცვლაზე შეჰყავდა ხოლმე. პრაღის „სპარტასთან" გუშინდელ შეხვედრაში კი ძირითადში დააბრუნა და პირველი ტაიმი ათამაშა. მატჩი 0:0 დასრულდა, საინტერესო კი ისაა, რომ 20 წლის ქართველი იმ პოზიციაზე გაისარჯა, სადაც კარგა ხანია, აღარ უბურთავია — ცენტრალურ მცველად.

არადა, ბოლოხანს ღვინიანიძეს ხან მარჯვენა მცველად, ხანაც საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებდნენ.

„სპარტასთან" ნამატჩევს კურცს ჩვენიანი არ გამოურჩევია, თუმც ზოგადად დაცვის თამაში შეაქო — წინა მატჩთან, რომელიც „ლომებმა" 1:5 წააგეს „ვოლფსბურგთან", შედარებაც არ არის, ამჯერად ოპტიმალურთან მიახლოებული თერთმეტეული დავაყენეო.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უმაღლეს და პირველ ლიგებში მოთამაშე გუნდების სტადიონების შემოწმება დაიწყო. პროფლიგა კატეგორიულია — გუნდს, რომელსაც ნორმალური მინდორი, გასახდელები და მინიმალური პირობები არ ექნება, ჩემპიონატში მონაწილეობას ველარ მიიღებს.

სტადიონების შემმოწმებელ კომისიაში პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანიცაა და ჩვენც მას მივმართეთ...



# ქართულ ფეხბურთს ტუალეტის სუნი აღარ აუვა

## პროფლიგა მკაცრია: მიხედეთ სტადიონებს!

— შემოწმება მცხეთიდან დავიწყეთ, შემდეგ ვიყავით მუხრანში, სადაც პირველლიგელი „გაგრა" თამაშობს. გორში ორივე სტადიონი ვნახეთ. მოვიარეთ ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, ხობი, ზუგდიდი და ბათუმიც — დავათვალიერეთ, სად რა ხდება...

...ძალიან სასიამოვნო იყო გორის, სამტრედიის და ზუგდიდი სტადიონების ხილვა — გორის „თენგიზ ბურჯანაძის" სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე მთლიანად დამონტაჟებულია ინდივიდუალური სკამები, თანამედროვე დონეზეა მოწყობილი გასახდელები... იქ ისევ მიმდინარეობს სამუშაოები — აღმოსავლეთ ტრიბუნაზეც დამონტაჟდება სკამები. უკრაინიდან ახლახან ჩამოიტანეს თანამედროვე ტაბლო და ჩემპიონატის დაწყებამდე დამონტაჟდება. ალბათ, „ცხინვალი" ამ სტადიონზე გამართავს საშინაო მატჩებს...

...სამტრედიაშიც დიდი სამუშაო ჩაუტარებიათ და პირველი ლიგის კი არა, უმაღლესი ლიგის პირობებსაც თავისუფლად აკმაყოფილებს...

...ზუგდიდის „მგლებიც" კოხტა, 18-ათასიან სტადიონზე უმასპინძლებს მეტოქეებს. მთლიანად შეცვლილია ინტერიერი, დამონტაჟებულია ინდივიდუალური სკამები, განახლებულია გასახდელები, სტადიონს გაჩნია ვიპ და პრეს-ლოჟები, ასევე საპრესკონფერენციო დარბაზი...

...საერთო ჯამში ზუგდიდის სტადიონი მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონის მოდელის იქნება, ტრიბუნები კი სანახევროდ გადაიხურება...

...როგორც ვიცით, საქართველოს მთავრობა სტადიონების მშენებლობას გააგრძელებს და უახლოეს მომავალში კიდევ ექვსი ახალი სარბიელი შეგვემატება...

...ყველაზე ცუდი მდგომარეობა ხობში დაგვხვდა — გუნდი პირველ ლიგაში გადმოვიდა და იქ კი არაფერი გაუკეთებიათ. ჩვენ ისინი გავაფრთხილეთ და თუ ჩემპიონატის დაწყებამდე არ გამოასწორებენ მდგომარეობას, ლიგაში არ დავუშვებთ. სხვათა შორის, უკვე შეგვეხმიანნენ ხობის გამგეობიდან და დაგვპირდნენ, რომ სტადიონზე ელემენტალურ პირობებს შექმნიან...

...ბათუმში „ადელის" სტადიონი ვნახეთ და, როგორც სასურველია, ისე არ არის, მაგრამ მაინც ნორმალური მდგომარეობაა. გადაწყვეტილია, რომ „ბათუმს" 2010 წლის დასაწყისში 15-ათასიანი თანამედროვე სტადიონი ექნება. ახალი სარბიელი ანგისას ტერიტორიაზე აშენდება, ამ ხარჯებს მთლიანად აჭარის მთავრობა გაიღებს...

...გორში „ქართლის" სტადიონის მინდორი ნორმალურია, მაგრამ თუ გასახდელები და უსაფრთხოების ზომები არ იქნება დაცული, ამ სტადიონს ვერ მივიღებთ...

...მოგეხსენებათ, ამიერიდან ჩემპიონატის მატჩებზე ბილეთები გაიყიდება და ისეთ სტადიონზე, სადაც ნორმალური ლობე არ არის, ეს ვერ მოხერხდება...

...უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდებიდან ყველაზე ცუდი მდგომარეობა მცხეთაში, „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე დაგვხვდა. ვეტერინარებს ნამდვილად აქვთ ფინანსური საშუალება, სტადიონზე ელემენტარული პირობები რომ შექმნან. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, „ვიტ ჯორჯია" გამოასწორებს მდგომარეობას...

...ჯერ არ შეგვიმოწმებია „ოლიმპის", „სიონისა" და „ლოკომოტივის" სტადიონები, მაგრამ ვიცით, რაც ხდება იქ და უახლოეს დღეებში ვნახავთ...

...მთლიანობაში უკმაყოფილონი არ ვართ. შენიშვნები მეტ-ნაკლებად ყველას მივეცით და ვიმედოვნებთ, რომ გაითვალისწინებენ და ახალ ჩემპიონატსაც მოწესრიგებული სტადიონებით შევხვდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ჩემპიონატში მონაწილეობა სანატრელი ექნებათ...

...და ერთიც: ქუთაისის „ტორპედოს" და „ბათუმს" საგარანტიო წერილები კი წარმოადგინეს, მაგრამ თუ ჩემპიონატის დაწყებამდე 20 დღით ადრე ანგარიშზე, სულ მცირე, 20 ათასი ლარი არ ექნებათ, უმაღლეს ლიგას დაემშვიდობებიან.

**ნუკრი ლოლაძე**

# რუსეთ-უკრაინა და სუპერ-ამისულაშვილი!



დავით კვირკველია (მარჯვნივ) საგოლე პასით გამოირჩა

**ქართული** ლეგიონის ამბებს უკრაინიდან დავიწყებთ, რაკილა, იქ ახალი სეზონი დაიწყო. მართალია, ჩემპიონ კიევის „დინამოში" ქართველები აღარ დარჩნენ, მაგრამ ჩვენიანებს უკრაინაში რა გამოლევს...

ლადო ბურდულის „ზარია" სტუმრად 1:1 გაეყარა „ვორსკლას", ქართველმა მარჯვენაფლანგელმა კი სრულად ითამაშა და ლუგანსკელთა გოლში წილიც დაიდო — საგოლე კომბინაცია მისი წამოწყებული იყო. ლადომ ყვითელი ბარათიც მიიღო.

საგოლე პასი გააზერხა დავით კვირკველიამ, ვისმა ზაპოროჟიეს „მეტალურგმაც" შინ 1:0 სძლია „კარპატის". კვირკველიამ 90 წუთი იბურთავა, მეორე ზაპოროჟიელი ქართველი ირაკლი მოდებაძე კი დუბლებში თამაშით დაკმაყოფილდა. მოდებაძემ შეიძლება კლუბი შეიცვალოს, შეკრებაზეც არ წაჰყოლია „მეტალურგს" და რა გასაკვირია, უთამაშებელი რომ დატოვეს.

ახტირკის „ნეფტიანიკში" დებიუტი ჰქონდა შარშანდელი უკრაინული სეზონის საუკეთესო თავდამსხმელ ვასილ გიგიაძეს — ვასოს გუნდმა 0:2 დათმო ხარკოვის „მეტალისტთან". ჩვენიანმა სრულად ითამაშა და ორი ხელსაყრელი მომენტიც ჰქონდა.

რატომღაც მხოლოდ დუბლებში ერთი ტაიმი აკმარეს „დნიპროს" ჯაბა კანკავას, ძირითად გუნდში კი მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა მისი დაყენება საჭიროდ არ ჩათვალა.

კიევის „არსენალში" სამიოდ დღის წინ გადასულმა გიორგი დემეტრაძემ კი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა — „მეთოფეებმა" შინ 1:2 წააგეს დონეცკის „მეტალურგთან". დემე 50-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და ყვითელი ბარათიც მიიღო.

განახლდა რუსეთში ჩემპიონატი: მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი" 18 ივლისს ითამაშებს, ყაზანის „რუბინს" კი ინტერტოტოს თასის მატჩი ჰქონდა უნგრულ „ზალაეგერსეგთან" და 3:0 მოგებით მესამე ეტაპზე გავიდა. ლაშა სალუქვაძემ ძირითადში ითამაშა, ნუკრი რევიშვილი კი არ გამოჩენილა.

და ვინღა დარჩნენ რუსეთში?

დავით მუჯირის „კრილია სოვეტოვმა" ალეკო ამისულაშვილ-ლევან გვაზავას ნალჩიკის „სპარტაკს" უმასპინძლა. ყაბარდოელებს გამარჯვება ამისულაშვილის ფანტასტიკურმა გოლმა მოუტანა. 83-ე წუთზე ქართველმა მცველმა სამარელთა საჯარიმოს კუთხიდან ცხრიანში ჩააბზრიალა — ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და „კრილიას" მეკარემ ამაოდ იფართხალა. ამისულაშვილმა სრულად ითამაშა, მისი თანაგუნდელი ლევან გვაზავა 76-ე წუთზე შეცვალეს, „კრილიას" კაპიტანი კი 73-ეზე.

ყველაფერი სწორედ მუჯირ-გვაზავას მოედნიდან გასვლის მერე დაიწყო, რაკილა იქამდე 0:0 იყო. წარმოიდგინეთ. 79-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ოთხ წუთში უკვე „სპარტაკი" იგებდა და საბოლოოდ 2:1 იმარჯვა კიდეც, რითაც „კრილია" სამუელს კარგად ჩამოაშორა, თავად კი ცხრილის შუაგულში დაიგულა თავი.

გოგიტა გოგუა კი ნაოპერაციევია და კიდევ კარგა ხანი ვერ ითამაშებს „სატურნში". ისე კი, „პლანეტელებმა" შორეულ ვლადივოსტოკში 1:2 წააგეს.

**ილია ნანობაშვილი**

გიო ახვლედიანის

სვეტი

# მზე შემოდგომისა

ზაფხულის ფეხბურთი სხვა ფეხბურთია: ამ სიცხეში გუნდები იმისთვის იბრძვიან, რომ მათ შემოდგომის რბილი და გემრიელი მზე მიეფეროს.

ამათშია სამი ქართული გუნდიც: „ოლიმპი“, „დინამო“ და „ამერი“, რომლებიც ამ კვირაში თავიანთ ევროპულ სვლას იწყებენ: დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც. ყაზახური სიცხიდან პატარა ლიხტენშტაინამდე.

ქართულ გუნდებს ასეთი გზა აქვთ კარგა ხანია: ისინი თავიანთ ბედს ივლის-აგვისტოში წყვეტენ. რაც ევროტურნირებზე ჯგუფები გაჩნდა, იმის შემდეგ საბრძოლოც ესაა, რომ როგორმე საშემოდგომო ჯგუფებში მოვხვდეთ და იქ თამაშითა და ბრძოლით გამოვარკვიოთ ჩვენი ნამდვილი შესაძლებლობები. ეს ერთადერთხელ მოახერხა თბილისის „დინამომ“ და, თუმცა იქ ბევრი არაფერი უპოვნია, ჯგუფში თამაში რაღაცას ნიშნავდა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფი ხომ საერთოდაც საოცნებო რამ არის. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ფული იმდენია, რომ წელს წამოიდგამ.

მაგრამ ეს ოცნებები მანამდე იქნება ოცნებები, სანამ ქართული კლუბი არ გადალახავს აგვისტოს გადამწყვეტ ბარიერს, სადაც, თუ იღბალი გაქვს, ბოლო შემმოწმებლად საშუალო აღმოსავლეთევროპული გუნდი გელოდება, თუ არა გაქვს იღბალი, საშუალო დასავლეთევროპული გუნდი, ხოლო თუ მთლად უიღბლო ხარ, რომელიმე გრანდი. ეს უკანასკნელი უფრო ლიგაში შეღწევის ამბავია.

მაგრამ თუ რაღაც არ გადალახე, სად შეხვალ? ეს ზღვის გადაცურვის ამბავია. ამ ჯერზე მაინც, ეგებ ჯგუფი გვეშოვნა. საგულშემატკივრო ეგოიზმით რომ მოგახსენოთ, ყველანი ისე დავიზარდეთ, რომ საშემოდგომო თამაშებს დაჩვეულნი ვართ: კაი-კაი დასავლურ გუნდებს. ჩვენმა შვილებმა კი ეს არ იციან. საერთოდ არ იციან და ეგებ ნელ-ნელა დავიწყოთ, თორემ აგვისტოშივე რომ მოგიკვდება ყველაფერი, ძალიან ძნელია: კლუბისთვისაც, ფეხბურთისთვისაც და მაყურებლისთვისაც.

შაბათს თემურ ქეცბაიას გაცილება იყო და ახლა გამახსენდა: „ნიუკასლი“ ჩემპიონთა ლიგაში სწორედ ქეცბაის გოლმა შეიყვანა. მაგარი რამეები არასდროს დაგავიწყდება. თუნდაც წაგებული, მაგრამ, მოდით, მოგებული მაგარი რამეები შევქმნათ...

# უგოლო და კმაყოფილი



ზურაბ იონანიძე „ზესტაფონს“ დაუბრუნდა

**გუშინ** ურეკში „ზესტაფონმა“ და ზუგდიდის „მგლებმა“ ტესტ-მატჩი გამართეს, რომელიც უგოლოდ დასრულდა.

ზუგდიდელთა მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია თავისი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა — ბოლო ორ მატჩში ჩემი გუნდი კარგად გამოიყურებაო...

— „ზესტაფონი“ გამოცდილი გუნდია, მაგრამ ტოლი არ დავუდეთ. იმედი მაქვს, ასევე გავაგრძელებთ და ჩემპიონატშიც ღირსეულად გამოვალთ — გვითხრა გუშინ შეროზიამ.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*მგლები: დევაძე, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, დ. ქირია, ჯოჯუა, ვართაგავა, კუტალია, წურწუმია, კრასოვსკი.*

*შეცვლაზე შევიდნენ ფარდავა, გაბედავა, ლიპარტია, ბაკარაძე, ქომეთიანი*

*ზესტაფონი: ჭანტურია, სანტოსი, საჯაია, ს. თოდუა (შ. ლორთქიფანიძე), კ. ჩხეტიანი, ბენაშვილი, ნ. კვასხვაძე, ფონტესი, რ. ონიანი, ვიეირა, გ. ჩხეტიანი (იონანიძე)*

ეს გუნდები 18 ივლისს ერთხელაც გაეჯიბრებიან ერთმანეთს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# მესხეთი აფციაურსაც უმიზნებს?

**უმაღლესი** ლიგის დებიუტანტი ახალციხის „მესხეთი“ აღარ ხუმრობს. მესხებმა უკვე მეორე საკონტროლო მატჩი გამართეს და ისევ მოიგეს — გორში 3:0 სძლიეს „დილას“. გოლები გვირჯიშვილმა, რუსიამ და სუდაძემ გაიტანეს.

„მესხეთმა“ გორელებთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *სომხიშვილი, აკოფიანი, ქობესაშვილი, ლეკიშვილი, ნადირაშვილი, აფრიამაშვილი, თაყაძე, გვირჯიშვილი, ინასარიძე, კაიდარაშვილი (სუდაძე), შ. ჯიქია (რუსია).*

როგორც შევიტყვეთ, „მესხეთი“ ზღვისპირულ შეკრებაზე აღარ წავა და აბასთუმანსა და ბორჯომში მოემზადება. „მესხეთის“ პრეზიდენტმა გია მესხელმა გვითხრა, ამ დროს ბორჯომში სპარინგებისთვის მეტი გუნდი იყრის თავს და გვინდა, გუნდი გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან გამოვცადოთო.

მესხები კიდევ აპირებენ გაძლიერებას — ორი ნახევარმცველი სურთ, აქედან ერთი სომეხი ლეგიონერი იქნება, მეორე კი, სავარაუდოდ, რუსთავის „ოლიმპის“ ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე აფციაური.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მშრალი ტესტი ყირიმამდე

**ყირიმულ** შეკრებამდე ბოლო ტესტ-მატჩი გამართა „ვიტ ჯორჯიამ“: „ზოოვეტს“ უგოლოდ დაშორდა.

მთელი თამაში „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობით გაილია. ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა სამჯერ ძელს გაარტყეს ბურთი, რამდენჯერმე კი მეკარესთან პირისპირ გასვლისას ვერ ივარგეს.

ვიტელებმა „ზოოვეტის“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ბედიაშვილი (ლურბელეიშვილი 46), პ. დათუნაიშვილი (მაისაშვილი 46), ადამაძე, ლომაია, ჯაფარიძე, ინჯგია (რაზმაძე 46), ბეჭვაია (იმერლიშვილი 46), გ. მელქაძე (ვ. დათუნაიშვილი 46), კვალიაძე (კლიმიაშვილი 46), კოკაძე (მერიაშვილი 46), ლუჭაშვილი (ლიპარტია 46).*

დღეს ვიტელები სიმფეროპოლში მიემგზავრებიან. ნესტორ მუმლაძე 23 ფეხბურთელს იახლებს.

გადაწყვეტილია, რომ „ვიტ ჯორჯია“ 5 ამხანაგურ მატჩს გამართავს უკრაინულ გუნდებთან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აფრიკულად წაქცეული მერანი



ერიკ რომეო ჩასემა

**უმაღლესლიგელები** მე-19 ეროვნული ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან და ტესტ-მატჩებსაც არ იკლებენ.

შაბათს ერთმანეთს ბოლნისის „სიონი“ და თბილისის „მერანი“ გაეჯიბრნენ. ერიკ რომეო ჩასემის გოლით ქვემოქართლელებმა 1:0 იმარჯვეს — აფრიკელმა ლეგიონერმა მცველი კარგად მოიშორა და მეკარეს შორეულ კუთხეში დაურტყა.

პირველმა ტაიმმა ბოლნისელთა უპირატესობით ჩაიარა, მეორე კი „მერანისა“ იყო.

გაირკვა, რომ ბოლნისელებმა უკვე დაიმატეს ყოფილი ჩიხურელები — ლაშა ვაშაკიძე, მიხეილ ბუცხრიკიძე და გიორგი თავბერიძე.

„სიონი“ მოსამზადებელ ეტაპს ზღვისპირეთში გაივლის.

როგორც ჩანს, ქვემოქართლელები ველარ დაიმატებენ მიხეილ ბობოხიძეს — ყოფილი დინამოელი „სიონში“ უკვე აღარ არის. კამერუნელი გასტონ ევოჩე კი ტრავმის გამო ვერ ეხმარება გუნდს.

რაც შეეხება „მერანს“: თამაზ კოსტავამ ძირითად ბირთვთან ერთად ახალწვეულები — ლომაშვილი და პეტრიაშვილი გამოსცადა და დაიტოვებს თუ არა მათ, უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ბოლოს კი შემადგენლობებიც:

*სიონი: ბობღიაშვილი, ლ. ჭელიძე, ფრიდოლინი, სვანიძე, რატიაშვილი, კვიტაიშვილი, ლ. ვაშაკიძე, პაპუნაშვილი, ბაჯელიძე, ქარდავა, ჩასემა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. იაშვილი, თავბერიძე, ზ. ჭელიძე, ოქროპირიძე, სამსონია, ჯიშკარიანი, ბუცხრიკიძე*

*მერანი: თევდორაძე, მკალობლიშვილი, ლ. მერებაშვილი, ჯანგიძე, ლომაშვილი, ავალიანი, ტყეშელაშვილი, ფურთუხია, სარალიძე, ბ. ნოზაძე, სევასტოპულო (პეტრიაშვილი 46).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბათუმი საკრებულომ შეკრიბა

**ფინანსური** პრობლემები „ბათუმმაც“ მოაგვარა და ვარჯიშიც დაიწყო. უმაღლეს ლიგაში მონაწილე 14 გუნდიდან მხოლოდ ბათუმელები იყვნენ უქმად.

გუშინ კი გუნდს ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბადრი ქაჯაია შეხვდა და სასიამოვნო ამბავი ამცნო — „ბათუმი“ ჩემპიონატში ითამაშებს.

„ფინანსური პრობლემა მოგვარებულია — გვითხრა გუნდის უფროსმა თამაზ ცინარიძემ — მთავრობა მხარში დაგვიდგა, გვეხმარებიან ბიზნესმენებიც. ერთადერთი პრობლემა შემადგენლობაა — ადგილობრივი ფეხბურთელებით დავიწყეთ ვარჯიში, მაგრამ ამ გუნდით უმაღლესში დარჩენა გაგვიჭირდება. გაძლიერებას ვაპირებთ და მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ახალი სეზონისთვის 7-8 ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ...

...ფეხბურთელების დამატებისთანავე 12-დღიან შეკრებაზე გადავალთ და ამხანაგურ მატჩებსაც გავმართავთ. მერე კი თასი და ჩემპიონატი დაიწყება...

...თამაშებს ისევ „ადელზე“ გავმართავთ. 2010 წელს კი ახალ სტადიონი გვექნება — ესეც აჭარის მთავრობის დამსახურებაა“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სირაძე ექიმმა დაამშვიდა

**დავით სირაძის** „პადერბორნმა“ უკვე ექვსი საკონტროლო მატჩი გამართა. აქედან ჩვენებურმა მხოლოდ სამში ითამაშა — სამჯერვე შეცვლაზე და ორი გოლი გაიტანა. ბოლო სამ შეხვედრაში კი სირაძე არ გამოჩენილა — საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს ბარძაყის ტრავმა ჰქონია და ამის გამო უკვე ათი დღეა, უქმობს.

როგორც კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, სირაძე გუშინ კიდევ ერთხელ გაესინჯა ექიმ მატიას პორშს, ვისი თქმითაც, ქართველი ვარჯიშს უახლოეს დღეებში განაახლებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასტანამ ლაპარაკს მუშაობა ამჯობინა

**ჩემპიონთა** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის“ მეტოქის ყაზახური „ასტანას“ ახალ მწვრთნელ ალექსანდრ ირხინს ქართულ გუნდზე ინფორმაცია უკვე მოუპოვებია...

— „ოლიმპზე“ ინფორმაცია რუსეთში მომუშავე ერთ-ერთმა მწვრთნელმა მომაწოდა. მათზე გარკვეული წარმოდგენა გვაქვს. ჩემი აზრით, მეტოქის თამაშში დადებითი და უარყოფითი მხარეების ძებნა ახლა უადგილოა. ჩვენ ერთი ამოცანა გვაქვს — ვაჩვენოთ ჩვენი პოტენციალი. პირველ რიგში თავდასხმაა გასაძლიერებელი. გუნდში ჯანსაღი კონკურენცია უნდა იყოს. ისე შორს ვერ წავალთ“ — განუცხადა ირხინმა ყაზახურ პრესას.

„ასტანამ“ უკვე დაიმატა ფეხბურთელები — ალმატის „კაირატის“ თავდამსხმელი არსენ ტლეხუგოვი, ბულგარელი მცველი დეიან გენჩევი და რუსი ნახევარმცველი ვიქტორ ბულატოვი, ვინც მოსკოვის „სპარტაკიდან“ გეხსომებათ.

„სამივე ძლიერი და გამოცდილი ფეხბურთელია, ისინი ძალიან წაადგებიან გუნდს“ — აღნიშნა ირხინმა.

„ასტანამ“ ფეხბურთელები კი დაიმატა, მაგრამ მოასწრებენ თუ არა რუსთაველებთან მატჩამდე განაცხადში შეყვანას, ჯერ უცნობია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჰოკეი, ოლიმპი და პეტერბურგი

**თანამეგობრობის** თასის გათამაშება მისამართს იცვლის — 2008 წლის იანვარში ამ ტურნირს მოსკოვის ნაცვლად სანკტ პეტერბურგი უმასპინძლებს.

საქმე ისაა, რომ თანამეგობრობის თასს ემთხვევა მსოფლიოს ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში, რომელიც სწორედ მოსკოვის „ოლიმპიისკის“ მანეჟში გაიმართება.

რუსეთის ფეხბურთის კავშირმაც გადაწყვიტა, ტურნირი სანკტ პეტერბურგში გადაიტანოს და ამგვარად, რუსთავის „ოლიმპს“ ამ ქალაქში მოუწევს თამაში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იყავ დროში და დროშით!

## ჩანახატები ტრავმიანი და სპორტულ-სპარტული

„ამერმა“ მესამედ გაიარა ზაფხულის შეკრება ჩეხეთში და მესამედვე, გამგზავრების წინ, „სარბიელის“ რედაქტორმა დამავალა, ქუჩაში შემთხვევით კარელ პობორსკის თუ გადავეყრებოდი, გვერდი არ ამევლო და ინტერვიუ გამეკეთებინა. ამგვარი შეხვედრის ალბათობა გამოვთვალე და დავალებას ხალისით დავთანხმდი, თუმცა 16-დღიანი შეკრებისას საინტერესო არაფერი ყოფილაო, ვერც ამას ვიტყოდი და სარედაქციო დავალებაც ამ პატარ-პატარა ამბების მოყოლით შევასრულე...



ჩეხური ტესტ-მატჩები „ლიბერეცთან“ გივი დიდავას ამ გოლით დაიწყო

### რატი

„ლიბერეცთან“ მატჩის 84-ე წუთი... დასაწყისს თუ არ ჩავთვლით, „ამერი“ გვარიან უპირატესობას ფლობდა, თუმცა გამარჯვების გოლის გატანას ვერ ახერხებდა. იმ 84-ე წუთზე კი თანაგუნდელის გრძელი პასით რატი წინამძღვრიშვილი მეკარესთან პირისპირ გადიოდა. ჩეხთა მეკარე კარიდანაც გამოვიდა და საჯარიმო მოედნიდანაც. შეჯახების ასაცილებლად რატიმ ცრუმოძრაობა გააკეთა, თუმც მეკარე მაინც დაეჯახა. ოღონდ მხარზე შეასკდა, წაქცეულმა რატიმ კი ხელი მარცხენა მუხლზე მოიკიდა — ტრავმა შეჯახებამდე, ცრუმოძრაობის გაკეთებისას მიიღო...

ჩვენი თხოვნით, ამერელთა მეგობარმა, რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის შეფმა დავით კაკაბაძემ მსგავსი ტრავმების ჩეხეთში საუკეთესო სპეციალისტს, პროფესორ ლადისლავ ვანჩეკს მიაგნო, რომელმაც გამოკვლევისას „ამერის“ ექიმის პირველადი დიაგნოზი დაადასტურა — მენისკი და ჯვარედინი მყესები ერთად... სამედიცინო ტერმინოლოგიას რომ არ ჩავუღრმავდეთ და უფრო იოლი გასაგები იყოს, რატიმ დაახლოებით ისეთი ტრავმა მიიღო, რამაც სულ ახლახან მალხაზ ასათიანს 9 თვე გააცდენინა.

თბილისში კლუბის ხელმძღვანელობასთან მოთათბირებისა და ექიმებთან კონსულტაციების მერე გადაწყდა, სავიზო საკითხები მოგვეგვარებინა და რატი საოპერაციოდ ჩეხეთში, პროფესორ ვანჩეკის ხელში დაგვეტოვებინა.

ერთი საგულისხმო ფაქტიც: დიაგნოზის დასმისთანავე ვანჩეკი რატის კვალიფიკაციით და პერსპექტივით დაინტერესდა. როდესაც ვუთხარით, რომ 19 წლის ფეხბურთელს რამდენიმე მატჩი ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია, განგვიმარტა, რომ რაც უფრო მაღალი კლასისაა სპორტსმენი, მკურნალობის კურსი მით უფრო რთულდება, რათა ტრავმამ სპორტსმენის შესაძლებლობებს კვალი არ დაატყოს.

და ერთიც: წინა სეზონის დასრულების მერე „ამერმა“ ხანგრძლივი დროით მეორე ახალგაზრდა თავდამსხმელი დაკარგა — გეხსომებათ, ივნისში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე ბესიკ ჩიმაკაძემ წვივის ორივე ძვალი მოიტეხა...

### როგორ ვერ ვნახე რენე ზელვეგერი

კარელ პობორსკისა რა გითხრათ, აი, ჰოლივუდელი ვარსკვლავის რენე ზელვეგერის ნახვისა კი გვარიანი შანსი მქონდა.

ჩვენი ჩეხეთში ყოფნისას იქაურ განთქმულ საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარში კინოფესტივალი ტარდებოდა, რომელსაც რენე ზელვეგერიც სტუმრობდა. ჰოდა, როცა „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ ორი ექსკურსიიდან ერთი კარლოვი ვარში დანიშნა, იმედი მომეცა, მაგრამ ოსკაროსანი მსახიობის ნახვა ეგრეც ვერ მოვახერხე — სწორედ იმ დღეს რატი წავიყვანეთ პრაღის კლინიკაში...

### ბეკენბაუერის ქურთუკი (რეტროგადახვევა)

ეს ამბავი დავით კაკაბაძემ მიამბო პრაღის ერთ მყუდრო ლუდხანაში.

— ბავშვობიდან გერმანული ფეხბურთის გულშემატკივარი ვიყავი, ფრანც ბეკენბაუერი კი ჩემი კერპი იყო. ჰოდა, წარმოიდგინე, ჩემთვის რამხელა სიხარული იყო, 14 წლისას ბეკენბაუერის ცოცხლად ნახვის საშუალება რომ მომეცა. 1975 წელი იყო. ჩემპიონთა თასზე ერევნის „არარატი“ ბეკენბაუერის „ბაიერნს“ შეხვდა. პირველი თამაში გერმანელებმა 2:0 მოიგეს, საპასუხო თამაშზე კი მამამ ერევანში წამიყვანა. ერევნის ცენტრი ნანახი გაქვს? „ბაიერნი“ უზარმაზარი ცენტრალური მოედნის ერთ მხარეს მდგარ სასტუმრო „არმენიაში“ ცხოვრობდა.

ის დროა, გუნდი სტადიონზე რომ უნდა წავიდეს, მოედანი კი ხალხით არის სავსე, ყველას უნდა „ბაიერნის“ ვარსკვლავების ნახვა. მილიცია ძლივს აკავებს გულშემატკივრებს. გავძვერი ამ ხალხში და სასტუმროსთან ახლოს დავდექი, ბეკენბაუერი კარგად რომ დამენახა. აქეთ-იქით ვიყურები, გარშემო ხმაურია. უცებ ვგრძნობ, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მივიხედე და... ბეკენბაუერი! ამ გაძრომა-გამოძრომაში ფეხბურთელებისთვის გზა გადამიღობავს და ბეკენბაუერმაც იმიტომ დამადო მხარზე ხელი, გამატარეო. ის ახალთახალი ქურთუკი, რომელსაც ბეკენბაუერი შეეხო, ალარასოდეს ჩამიცვამს, რელიქვიასავით მეკიდა კარადაში.

წლების მერე, სპორტული ჟურნალისტობისას, ბეკენბაუერთან შეხვედრა მომიხდა და ეს ამბავი მოვუყევი. ალალად გაოცდა.

### რომელი ხარ, კაცო, შენ?

შეკრებაზე ორი საკონტროლო მატჩი გამბრინუსლიგაში (იქაური უმაღლესი ლიგა) მეთერთმეტე ადგილზე გასულ „კლადნოსთან“ გვქონდა. უფრო სწორად, „დუკლასთან“ მატჩი ჩაგვეშალა და მასპინძლებმა ისევ იმ „კლადნოსთან“ გაჯიბრება შემოგვთავაზეს, ექვსი დღით ადრე უკვე რომ შევხვდით...

„კლადნოსთან“ პირველი მატჩი „ლიბერეცთან“ შეხვედრის მეორე დღეს გვქონდა და მასპინძლებმა გვითხრეს, რაკი დაღლილები ხართ და ძლიერი მეტოქე არ გინდათ, „კლადნოს“ შევუთანხმდით და მეორე შემადგენლობით მოდისო.

კლადნოელებს ბლშანში (სადაც ვცხოვრობდით) ოციოდე გულშემატკივარიც ჩამოყვა და რამდენიმეს ვკითხე, რომელი შემადგენლობით გვეთამაშებით-მეთქი. პირველითო, დაბეჯითებით მითხრეს. ის თამაში ბაჩანა ცხადაძის და გიორგი ვარდოსანიძის გოლებით 2:0 მოვიგეთ.

რამდენიმე დღეში, როცა „დუკლა“ ჩაიშალა და ისევ „კლადნო“ შემოგვთავაზეს, ესეც შემოგვითვალეს, ახლა კი პირველი შემადგენლობით ჩამოვდივართო. ჩამოვიდნენ და, დიმიტრი ტატანაშვილის ჰეთ თრიქით და გიორგი დეკანოსიძის გოლით 4:1 მოვიგეთ. მატჩის მერე კი გვითხრეს, არა, დღეს მეორე შემადგენლობით ვითამაშეთო.

გულახდილად გითხრათ, ახლაც არ ვიცი, რომელ მატჩში რომელი შემადგენლობით გვეთამაშა „კლადნო“.

### უცნაური რამეა ფეხბურთი

დიახ, მართლა ძალიან უცნაური რამეა ფეხბურთი.

„სპარტამ“ გვაჯობა, საწყის 17 წუთში სამი გოლი გაგვიტანა, მომდევნო 73 წუთში კი ანგარიში შეინარჩუნა და ორი ათასი გულშემატკივრის ალალი ტაშიც დაიმსახურა, მაგრამ...

თუ დავითვლით, „ამერმა“ უფრო მეტი და უკეთესი მომენტი შექმნა ტომაშ გრიგარის კართან, ვიდრე ჩეხთა უპირველესმა გუნდმა საპირისპირო მხარეს. ისეთი საგოლე მომენტები, როგორიც რევაზ გოცირიძეს, ბაჩანა ცხადაძეს და კობა შალამბერიძეს ჰქონდათ, ჩეხებს ნაღდად არ შეუქმნიათ. იცით, როგორ მომენტებზე ვამბობ — ქართველი ფორვარდი კარის წინ 2-3 მეტრში რომ იღებს ბურთს, მეკარეც კი რომ არ უშლის ხელს და მაინც აცილებს...

მაგრამ ტაბლოც რომ არ ტყუის?! და თუ „ამერმა“ უფრო მეტი და უკეთესი მომენტი შექმნა, ორი



ეს წუთია, რატიმ მძიმე ტრავმა მიიღო



რატი წინამძღვრიშვილი და დავით კაკაბაძე



აი, ასეთი მომენტიც ვერ გამოიყენეს ამერელებმა „სპარტასთან“


ჩვენი დროშები „სლავიასთან“ მატჩისას

ბურთი „სპარტას“, რომ იტყვიან, აჩუქა, თანაც პრალელებს საგოლე დარტყმებიც ოქრომჭედლის სიზუსტისა გამოუვიდათ.

ერთი სიტყვით, ფეხბურთი უცნაური რამეა, მაგრამ ამ უცნაურობაშიც, თუ დავუკვირდებით, ლოგიკასა და კანონზომიერებას აღმოვაჩენთ.

„სპარტასთან“ მატჩზე მოსულ ორი ათას გულშემატკივარს შორის კი რამდენიმე ქართველიც იყო, დროშით რომ მოვიდნენ, აფრიალების საბაბი კი არ მიეცათ...

## ჩვენი დროშები ევროპაში

„სპარტასთან“ მატჩზე ქართველი გულშემატკივრების მოტანილი ქართული დროშა ერთადერთი არ ყოფილა, იმ საღამოს სტადიონზე რომ გამოიფინა: მეორე ხუთჯვრიანი ამერელებისა იყო.

საქართველოსა და საკლუბო დროშების ყველგან წაღება და გამოფენა — სასტუმრო იქნება თუ სტადიონი — ამერული ტრადიციაა. ხოლო ტრადიციებს, ისევე, როგორც ეროვნულ სიმბოლიკას, პატივისცემა უნდა. „ამერს“ სასტუმროების სასადილოებისთვისაც დააქვს მცირე ზომის სამაგიდო დროშები.

## ლეტნა, რომელიც არის ტოიოტა

სილამაზის რა გითხრათ, კომერცია კი ნაღდად მოითხოვს მსხვერპლს. „სპარტას“ განთქმულ სტადიონს „ლეტნა“ აღარ ჰქვია, სპონსორის ხათრით „ტოიოტა არენა“ ეწოდება და სათანადო წარწერა სტადიონის ფასადსა და აღმოსავლეთ ტრიბუნასაც ამშვენებს. თუმცა ჩვენთვის უფრო საინტერესო ის წარწერები და ნახატებია, გვირაბიდან მოედანზე რომ აცილებს ფეხბურთელებს.

მოედანზე გასვლის სქემა ასეთია: გასახდელებიდან „სპარტაც“ და მეტოქე გუნდიც საერთო გასასვლელში ხვდებიან, რომელიც მერე ორ გვირაბად იყოფა და უშუალოდ მოედანზე გასასვლელთან ისევ ერთდება.

გვირაბში, რომლითაც „სპარტა“ გადის მოედანზე, ასეთი ნახატია: ნაჯახიანი მეომარი ფეხბურთელებს ახსენებს, არაფერი მოგების გარდაო. სტუმართა გვირაბში დახატულ სურათზე კი ამ მეომარს მტრისთვის თავი წაუცლია და ჩექმა დაუბიჯებია. იმ მოჭრილ თავს კი აფრთხილებენ, აქ „სპარტა“ იმარჯვებსო.

## ჩავიხედოთ სხვის საფულეში

დღევანდელი ჩეხური ფეხბურთი ისეთივე არ არის, რამდენიმე წლის წინ რომ იყო. ახალი თაობის პობორსკები და ნედვედები არ ჰყავთ, ხოლო ვინც ჰყავთ, იმათ, გერმანიასა თუ იტალიას ვინ ჩივის, რუმინეთისა და სლოვაკეთისკენაც კი უჭირავთ თვალი. მიზეზი მიწიერია — იქ უფრო მეტი ფულია.

ჩეხეთში ყველაზე დიდი ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, „სპარტას“ აქვს: წელიწადში დაახლოებით 10 მილიონი დოლარი. შემდეგი „სლავიაა“ 5 მილიონით. დანარჩენი გამბრინუსლიგელების ბიუჯეტი კი ერთნახევრიდან ორ მილიონს შორის მერყეობს. ქართული კლუბებისთვის ურიგო ბიუჯეტები არ არის, თუმცა ყველაფერი შედარებითია.

რაც შეეხება „ბლშანს“, რომლის ბაზაზეც „ამერი“ ცხოვრობდა, სავალალო მდგომარეობაშია. ერთი წლის წინ გამბრინუსიდან პირველ ლიგაში გავარდნილი გუნდი იქიდანაც გავარდნის პირას იყო, მაგრამ სეზონის ბოლოს ბლომად თამაშები მოიგო და დარჩა. თუმცა ფინანსური პრობლემების გამო მომდევნო სეზონისთვის ლიცენზიას ვერ იღებს და ეგებ კიდევ უფრო დაბალ ლიგაში ჩაქვეითდეს.

და მიუხედავად ამისა, კლუბის პრეზიდენტს უხასიათობა მაინცდამაინც არ ეტყობოდა. რატომაც არა?! მისმა კერძო ფირმამ ახლახან ბრწყინვალე შეკვეთა მიიღო — გამბრინუსისა და პირველი ლიგების ყველა სტადიონზე მოედნის საფარის მოწესრიგება ახალი სეზონის დაწყებამდე. ხოლო იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თავის 9 მოედანს როგორ უვლის, ეჭვი არ შეგეპაროთ, შეკვეთას იდეალურად რომ შეასრულებს.

## იელოვას ჰუყვარვართ?

არ ვიცი, ფეხბურთი კი არ უნდა უყვარდეს...

თავდაპირველი შეთანხმებით, „სლავია“ ბლშანში უნდა ჩამოსულიყო „ამერთან“ სათამაშოდ. მერე შემოგვითვალეს, ეგებ თქვენ ჩამოხვიდეთ პრალაში, ჩვენს ცენტრალურ სტადიონზე ვითამაშოთო. კარგ, 25-ათასიან სტადიონზე თამაშზე უარი რატომ უნდა გვეთქვა და დავთანხმდით.

ამის მერე კი საქმეში სექტა ჩაება და იმავე დღეს, ჩვენ რომ უნდა გვეთამაშა, თავისი თავყრილობისთვის ცენტრალური სტადიონის დაქირავება მოინდომა.

ანგარიშის საქმე არ არის?! სტადიონი სექტანტებს მიაქირავეს, „სლავია“ — „ამერის“ მატჩი კი იქვე, ქუჩის მეორე მხარეს, 2-ათასიან სტადიონზე გადაიტანეს. ერთი სიტყვით, ორივე სტადიონი დატვირთეს და მოგებაც ნახეს.



მასპინძელთა გვირაბი „ტოიოტაზე“

რამდენი გადაიხადეს იელოველებმა დიდი სტადიონის დაქირავებაში, აბა, ვინ მეტყოდა, ხოლო იმ სტადიონისთვის, ფეხბურთი რომ გაიმართა, 2000 ბილეთი დაბეჭდეს და ორიათასივე გაიყიდა, ცალი დოლარნახევრად. ტრიბუნაზე სოსისი და ლუდიც ბლომად გასაღდა. მოკლედ, თამაშს არც გულშემატკივარი აკლდა და არც პრესა-ტელევიზიის ყურადღება, რისი მთავარი მიზეზიც „სლავიაში“ ვლადიმირ შმიცერის დიდად რეკლამირებული გადასვლა იყო. მეორე ტაიმში, როცა „ლივერპულთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის მომგები ფეხბურთელი შეცვალეს, ჟურნალისტების გვარიანმა ნაწილმა თამაშის ყურება მიატოვა და შმიცერს გასახდელისკენ გაეკიდა. ჩვენთვის სამწუხარო კი ის იყო, რომ შმიცერმა „სლავიაში“ სადებიუტო გოლი სწორედ „ამერს“ გაუტანა...



სტუმართა გვირაბი „ტოიოტაზე“

## ბოლოთქმა

პრალაში ყველა „პორშეთი“ დადის. ძნელი დასაჯერებელია? იქ ყველაზე პოპულარული ტრანსპორტი ტრამვაია, რომლის ახალი დიზაინიც ქალაქის მუნიციპალიტეტმა ამ ავტოკონცერნს შეუკვეთა...

სურსათის მაღაზიებში ალაგ-ალაგ „ბორჯომს“ წააწყდებით, ოღონდ ჩეხეთში ჩასული ქართველები უპირატესობას სხვა სასმელს ანიჭებენ. ყველაზე ძვირადღირებული ლუდი ყველაზე იაფ სიგარეტზე ორჯერ იაფია...

**გიორგი დარჯანია**

***ავტორის ფოტოები***

P.S. რატი წინამძღვრიშვილმა პირველი ოპერაცია „ამერის“ ჩეხეთიდან გამომგზავრების დღეს გაიკეთა და თბილისში რამდენიმე დღეში დაბრუნდება.


გიორგი დეკანოსიძის გოლი „კლადნოს“ კარში

## გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. 14 ივლისი

# გოგშელიძის დღე და ქართველმა მოჭიდავეებმა



**55 კგ**

1 მამუკა ხოზრევანიძე (საქართველო)
2 ფათიჰ უჩანტუ (თურქეთი)
3 ლაშა გოგიტაძე (საქართველო)
3 ნატიკ ბაგიროვი (აზერბაიჯანი)



**60 კგ**

1 თალეჰ ასრაფილოვი (აზერბაიჯანი)
2 დავით ბედინაძე (საქართველო)
3 ტარიელ ებრალიძე (საქართველო)
3 ტურად მახრამანოვი (აზერბაიჯანი)



**66 კგ**

1 ლაშა ლომაძე (საქართველო)
2 მანუჩარ ცხადაია (საქართველო)
3 ჯაკობ კერბი (აშშ)
3 ელბრუს მამედოვი (აზერბაიჯანი)

„სამწუხაროდ, იღბალმა მიმტყუნა. სპორტში ასე ხშირად ხდება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ტურნირის ჩემპიონი უნდა წავიდეს. მე ეს ვერ შევძელი, მაგრამ... წინ ოლიმპიადაა. მინდა, კიდევ ერთი წელი ვიბრძოლო, რადგან თავს ვატყობ, რომ ამის ძალა შემწევს. ვხედავ, საქართველოს კიდევ ვჭირდები და ასეთ დროს წასვლა სწორი გადაწყვეტილება არ იქნება. თავს არ დავზოგავ, რათა ბოლო ნაბიჯი ღირსეულად გადავდგა და ხალხი გავახარო. დღევანდელი შეხვედრით და ამ დაძაბულობით ყველამ ისიამოვნა. ასეთი კონკურენციით კი პირველ რიგში საქართველო რჩება მოგებული. დღეს ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა" — თქვა გუშინ „ქარიშხალას" დარბაზში მსოფლიოს ორგზის, ევროპის ხუთგზისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ლუკა კურტანიძემ.

ორი მსოფლიოს ჩემპიონის შეხვედრას ჭიდაობის მოყვარულები დიდი ხანი ელოდნენ და ნანატრი სანახაობა გუშინლა შედგა. მსოფლიოს ორი ქართველი ჩემპიონი, ლუკა კურტანიძე და გიორგი გოგშელიძე, ერთმანეთის პირისპირ ხალიჩაზე ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე დადგნენ.

დიდ ქართულ რკენას წინ ერთი სერიოზული ინტრიგაც უძღვოდა. კურტანიძემ აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ ჯერ კიდევ გაზაფხულზე განაცხადა. ტრადიციულ თბილისურ ტურნირზე გამოსვლა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ქომაგებისთვის მადლობის გადასახდელად და გამოსამშვიდობებლად გადაწყვიტა. უფრო ზუსტად, ქართულ ტრიბუნებთან გამოსამშვიდობებლად. უცხოეთიდან კი ერთხელაც შეეცდებოდა საქართველოს გახარებას, თუკი გუშინ ჩემპიონი გახდებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელ შვიდეულში შევიდოდა, თუმცა... დიდი კონკურენცია მაინც გაგრძელდება.

„ქარიშხალას" ტრიბუნები დილიდანვე გადაიჭედა და ამის მთავარი მიზეზები სწორედ კურტანიძე და გოგშელიძე იყვნენ. კენჭისყრამ ისინი ბადის სხვადასხვა მხარეს დააყენა. ერთმანეთთან შეხვედრამდე სამ-სამი ბარიერი უნდა გადაელახათ. ბრძოლები ერთმანეთის მიყოლებით უწევდათ და უნდა გენახათ, მეტოქეებს რა დღეში აგდებდნენ. მგონი, მთელი დღის განმავლობაში ერთად არ გაკეთებულა იმდენი ილეთი, გიორგიმ და ლუკამ რომ გააკეთეს. თან რაც მთავარია, ყველას ისე იოლად უსწორდებოდნენ, ოფლიც არ მოსვლიათ. რამდენიმესგან მოვისმინეთ, ერთმანეთისთვის ენერგიას ზოგავენო.



გიორგი გოგშელიძემ ლუკა კურტანიძეს იღბლის წყალობითაც მოუგო

ფინალი კი რამდენადაც დაძაბული, იმდენად ცუდი სანახავი გამოდგა. პირთამდე გადაჭედილი და ამ დროს ცარიელივით გასუსული დარბაზი ამაოდ ელოდა მსოფლიოს ჩემპიონებისგან მომგებიან ილეთს. ფინალი ორ სეტში დასრულდა, ორივეში ჭიდაობის უაზრო წესით — მონეტის აგდებით და შეკვრით. მონეტა ორივეჯერ გოგშელიძეს სასარგებლოდ დაჯდა და გიორგიმაც შანსი პროფესიონალურად გამოიყენა.

იღბალი ფინალის შემდეგ ჩემპიონმაც ახსენა და ხალხს სთხოვა, შედეგს დიდი ყურადღება არ მიაქციონ, რადგან საქმეში ფორტუნაც ჩაერია და რომ კურტანიძე უძლიერესია.

ხალიჩიდან გამოსულ ლუკას დაახლოებით ხუთი წუთი შორიახლო ვუტრიალეთ. მერე კი მისვლა ჩინელი მოჭიდავეების საქციელმა გაგვიადვილა. ვერცხლისმედალოსანს გარს შემოერტყნენ და ყველამ ცალ-ცალკე სთხოვა სურათის გადაღება. კურტანიძე იმათ ხასიათზე რომ არ იყო, მტკიცება არ უნდა, მაგრამ ყველას თავაზიანად დათანხმდა.

ამ სცენამ ტურნირის ბოლო შეხვედრა მთლიანად გამოგვატოვებინა. თავისუფალი სტილის მძიმე წონის ფინალში 21 წლის დავით მოძმანაშვილმა იჩემპიონა. ფინალში მან ზვიად სისაურს აჯობა და ალბათ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც გაინაღდა. ნაკრების გამოცდილი წევრი, ევროპრიზიორი ლექსო მოდებაძე კი ყველასთვის მოულოდნელად სამეულში საერთოდ ვერ შევიდა — პირველსავე წრეში სისაურთან დამარცხდა, ხოლო რეპეშაჟში მუსლიმ მუსლიმოვთან. ამ აზერბაიჯანელმა და დავით ოთიაშვილმა ბრინჯაოს მედლები აიღეს.

თავისუფალთა შვიდი წონიდან მხოლოდ ორში ვერ შეძლეს მასპინძლებმა პირველ ადგილზე გასვლა. უცხოელებმა ორ მსუბუქ წონაში წაიღეს ოქროები. 55 კილოგრამში სომეხმა ვაგან სიმონიანმა გადამწყვეტი ბრძოლა გოჩა კირკიტაძეს მოუგო, ხოლო 60 კილოგრამში თურქმა ტეფიკ ობადაშიმ მალხაზ ქურდიანს აჯობა. ეს თურქი ევროპის ჩემპიონია და „ქარიშხალაშიც" ისეთი ქარიშხალი დაატრიალა, ფინალის დასრულების შემდეგ ქურდიანის წაგებით გულდაწყვეტილი ქომაგებისგან ალალი ოვაციები მიიღო. ობადაშიმვე გადაუკეტა მეოთხედფინალში ოქროს გზა ყოჩაღ გიორგი ბალიაშვილსაც, რომელიც მერე ბრინჯაოს დაეუფლა. მესამე საპრიზო ადგილი ქურდიანისგან ნახევარფინალში ძლეულმა მალხაზ ზარქუამაც.

55 კილოგრამში მთავარი მოულოდნელობა ნაკრების წევრ ბესიკ გუჩაშვილის პირველ წრეში წაგება გახდა. მისმა მომგებმა აზერბაიჯანმელმა არიფ ძამანოვმა უმალ გიორგი ედიშერაშვილთან წააგო და გუჩაშვილს ბრინჯაოს შანსიც გაუქრო. ედიშერაშვილი კი ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა სიმონიანმა შეაჩერა და ქართველმა კვარც-



**74 კგ**

1 გენადი გოგიშვილი (საქართველო)
2 შმაგი გულიაშვილი (საქართველო)
3 ალუდა კუნჭულია (საქართველო)
3 ნიკოლაი დარგანი (უკრაინა)



**84 კგ**

1 ბადრი ხასაია (საქართველო)
2 ვლადიმერ გეგეშიძე (საქართველო)
3 გელა ჩხაიძე (საქართველო)
3 მუსა აკბო (თურქეთი)



**96 კგ**

1 გივი მორჩილაძე (საქართველო)
2 არმენ გეგამიანი (სომხეთი)
3 ალეკო ბურდილაძე (საქართველო)
3 ახმად ტაჩიუზი (თურქეთი)



**120 კგ**

1 რიზა კალალრი (თურქეთი)
2 დავით სალდაძე (უზბეკეთი)
3 გურამ ფერსელიძე (საქართველო)
3 პეტრე მეტრეველი (საქართველო)

## გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი

### თავისუფალი ჭიდაობა. 15 ივლისი

# კურტანიძის ერთი წელი

## ქარიშხალაში 10 ოქრო მოიმკეს



ხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა იკმარა.

66 კილოგრამში ფინალიც ქართული ენახეთ და სამეულიც მთლიანად მასპინძლებით დაკომპლექტდა. წაუგებლად ტურნირი ყველაზე გამოცდილმა, ოთარ თუშიშვილმა ჩაამთავრა. საჩემპიონოდ მან ხუთი მეტოქე ჩამოიცილა. ნახევარფინალში კობა კაკალაძეს მოუგო, ხოლო ფინალში პაატა ნოზაძეს. გელა საღირაშვილმა (74კგ) ოქროს მედალთან ერთად ვახტანგ ბალავაძის სპეციალური პრიზითაც გაიხარა. გადამწყვეტ ბრძოლაში აზერბაიჯანელ ელნურ ასლანოვთან იმარჯვა. ფინალამდე კი სანაკრებო კონკურენტები დავით ახალმოსულიშვილი და იაკობ მაკარაშვილი ჩამოიცილა. ეს ორი მოგვიანებით რეპეშაჟის ფინალში დაეჭიდა ერთმანეთს და ბრინჯაო ახალმოსულიშვილს დარჩა. მესამე ადგილზე გავიდა ალექსანდრე პარაქალიშვილიც.

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ნაკრებს ოქროთი დაუბრუნდა რევაზ მინდორაშვილი (84კგ). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა თბილისური ხალიჩაზე მოიჭიდავა, მცირე შანსიც კი არავისთვის მიუცია. ფინალში „მინდორას" რისხვა სომეხ არტურ ენუქიანს დაატყდა. აქვე ვთქვათ, ტურნირი საქართველოს ნაკრების წევრს ლერი ქთიშვილს ტრავმის გამო გაუცდა. და ერთი საინტერესო ინფორმაციაც, 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის 13 მონაწილედან 5 ჩინელი იყო. სულ კი მომავალი ოლიმპიადის მასპინძლებმა თბილისში 11 თავისუფალი სტილის მოჭიდავე გამოსცადეს.

ბერძნულ-რომაული სტილის მიმდევრებმა ჩემპიონ-პრიზიორები ერთი დღით ადრე გამოავლინეს. გივი კარტოზიას სახელობის ტურნირი შაბათს ჩაჭიდავდა და მასპინძლებმა აქაც ხუთი ოქრო მოიპოვეს.

55 კილოგრამში წარმატებას ყველაზე მეტად ირაკლი ჭოჭუასგან ველოდით. ნაკრების ლიდერმა ჩვეულადაც დაიწყო და ნახევარფინალამდეც კარგი ჭიდაობით მივიდა., მაგრამ მერე ჯერ თურქ ფათიჰ უჩანტუსთან წააგო, ხოლო რეპეშაჟის ფინალში აზერბაიჯანელ ნატიგ ბაგიროვთან და სულაც უმედლოდ დარჩა.

ჩემპიონი კი ის ქართველი გახდა, რომლისგანაც თითქმის არავინ ელოდა ოქროს მედალს. მამუკა ხოზრევანიძემ ჩვეულ წონაზე ერთი წონით დაბლა ბრწყინვალე დებიუტი მოიწყო. ფინალში ჭოჭუას მძლეველ თურქს აჯობა, ხოლო იქამდე ნაკრების კიდევ ერთ რეალურ კანდიდატს ლაშა გოგიტაძეს.

დავით ბედინაძემ (60კგ) ფინალამდე უნაკლოდ იჭიდავა. იქ კი აზერბაიჯანელ ტელეჰ ასრაფილოვთან ველარას გახდა. მსოფლიოს და ევროპის ვერცხლის პრიზიორი ამჯერადაც ვერცხლს დასჯერდა.

66 კილოგრამში ქართული ფინალი ვიხილეთ. ლაშა ლომიძემ მანუჩარ ცხადაიას მოუგო და ალბათ ნაკრების პირველნომრობაც დაიბრუნა. ამის თქმის უფლებას ლაშას ჭიდაობის ხარისხი გვაძლევს. ტურნირი ისე ჩაამთავრა. მეტოქეებისთვის ერთი სეტიც არ დაუთმია.

ნაკრების ლიდერ მანუჩარ კვირკველიას არყოფნის მიუხედავად, 74 კილოგრამშიც მასპინძლებმა გაითამაშეს ოქრო — გენადი გოგიშვილმა შმაგი გულიაშვილს მოუგო. ალუდა კუნჭულია კი მესამე ადგილზე გავიდა.

84 კილოგრამის ფინალში ნაკრების ლიდერმა ბადრი ხასაიამ ვლადიმერ გეგეშიძეს აჯობა. საჩემპიონო გზა კი მართლაც შთამბეჭდავი ჰქონდა. მარტო ალექსანდრე დოხტურიშვილის და ტარიელ მელელაშვილის ძლევა რად ღირს. ხასაიას მოგვიანებით გივი კარტოზიას სპეციალური პრიზიც გადაეცა.

გეგეშიძე ფინალამდე შედარებით მოკლე გზით კი მივიდა, მაგრამ მისგან ალბათ ბევრი ასეთ წარმატებასაც არ ელოდა. ახალგაზრდებს შორის ევროპის ორგზის ჩემპიონს ხომ ტრავმის გამო დაახლოებით ორი წელი გაუცდა და დიდი პაუზის შემდეგ ხალიჩას ახლაღა დაუბრუნდა.

ევროპის ჩემპიონმა რამაზ ნოზაძემ (96კგ) ჭიდაობას ტრავმის გამო ტრიბუნებიდან უცქირა. საქართველოს ნაკრების ღირსება კი ყველაზე უკეთ გივი მორჩილაძემ დაიცვა. ოქროს შეხვედრაში მან სომეხ არმენ გეგამიანს მოუგო. ალეკო ბურდილაძე მესამეზე გავიდა.

კლასიკური მძიმე წონა ერთადერთი იყო, რომლის ფინალშიც საქართველოს ნაკრების წევრმა ვერ იჭიდავა, თუმცა ქართველის გარეშე მაინც როგორ იქნებოდა. უზბეკეთის სახელით მოჭიდავე დავით სალდაძეს ოქრომდე ერთი გამარჯვება დააკლდა. ჩემპიონობა მას რიზა კალალრიმ არ დაანება. ამ ნორჩმა და ულაპარაკოდ პერსპექტიულმა თურქმა იქამდე რევაზ ჭელიძეც გაამწარა. ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ხალიჩას დაბრუნებულმა ნაკრების ლიდერმა გურამ ფერსელიძესთანაც წააგო და ბრინჯაოსაც ვერ შესწვდა. ფერსელიძეს კი მხარი პეტრე მეტრეველმა დაუმშვენა.

ნატურნირევს ნაკრებების მწვრთნელებმა ტურნირის უძლიერესი და პერსპექტიული მოჭიდავეები დაასახელს. სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის" დაწესებული ფულადი პრიზები საუკეთესოებმა ლაშა ლომიძემ და გელა საღირაშვილმა და პერსპექტიულებმა გენადი გოგიშვილმა და დავით მოძმანაშვილმა მიიღეს.

**ოთარ ჵალლაკელიძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



**120 კგ**

1 დავით მოძმანაშვილი (საქართველო)
2 ზვიად სისაური (საქართველო)
3 დავით ოთიაშვილი (საქართველო)
3 მუსლიმ მუსლიმოვი (აზერბაიჯანი)



**96 კგ**

1 გიორგი გოგშელიძე (საქართველო)
2 ლუკა კურტანიძე (საქართველო)
3 ბალჟირ სერპათი (თურქეთი)
3 ვულინ იანი (ჩინეთი)



**84 კგ**

1 რევაზ მინდორაშვილი (საქართველო)
2 არუთინ ენუქიანი (სომხეთი)
3 ნიკოლოზ გაგნიძე (საქართველო)
3 ინგი კაუნი (ჩინეთი)



**55კგ**

1 ვარგან სიმონიანი (სომხეთი)
2 გოჩა კირკიტაძე (საქართველო)
3 მიხრან ჯაბურიანი (სომხეთი)
3 ელხან მირზაევი (აზერბაიჯანი)



**60 კგ**

1 ტეფიკ ობადაში (თურქეთი)
2 მალხაზ ძურდიანი (საქართველო)
3 გიორგი ბალიაშვილი (საქართველო)
3 მალხაზ ზარძუა (საქართველო)



**66 კგ**

1 ოთარ თუშიშვილი (საქართველო)
2 პაატა ნოზაძე (საქართველო)
3 კობა კაკალაძე (საქართველო)
3 ჟირაირ ოგანესიანი (სომხეთი)



**74 კგ**

1 გელა საღირაშვილი (საქართველო)
2 ელნურ ასლანოვი (აზერბაიჯანი)
3 დავით ახალმოსულიშვილი (საქართველო)
3 ახმედ გულქანი (თურქეთი)

# ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
## სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

# ქართული მისია: მე-12 და ჯანმრთელობა

14 ივლისი

**საქართველო 69:96 საფრანგეთი**

**28:22 11:24 15:28 15:22**

საქართველო: გაფრინდაშვილი (4), ფარლალავა (8), ჭოჭუა (17), დიდია (13), შერმადინი (8); ლაფანაშვილი (5), ნივნივაძე (3), ჯაგერენაია (5), გულისაბედაშვილი (3), ბერიშვილი (2), მათიაშვილი (1), ცაკვავა

საფრანგეთი: შერიტი (5), სი (5), დე კოლო (15), სელი (28), იონკირიც მარკი, სურტი (9), კოზე (14), კომა (10), სალმონი (4), კოლბი

15 ივლისი

**საქართველო 70:81 ლიტვა**

**17:30 20:16 17:18 16:17**

საქართველო: ცაკვავა (2), ფარლალავა (13), ბერიშვილი (3), დიდია (11), შერმადინი (18); გაფრინდაშვილი (6), ლაფანაშვილი (6), მათიაშვილი (6), ნივნივაძე (2), ჭოჭუა (3)

ლიტვა: სერნესკისი (9), ეზერსკისი (12), ბანიულისი (13), ლუსგასი (12), პეტრუკონისი (6); დეისი, კრიაჩუნასი, მასიულევიჩუსი, ივანაუსკასი (4), ლაბუსკასი (4), ტრაკიმასი (21)

**საქართველომ** ევროპის ჩემპიონატი მე-12 ადგილზე დაასრულა, ანუ ზუსტად იმ საფეხურზე შეიმაგრა თავი, რომლის ქვემოთ მყოფი 4 გუნდი A დივიზიონში დასარჩენი 2 საგზურისთვის იბრძოდა.

დავით უსტიაშვილის გუნდმა უძლიერესთა შორის დარჩენის ღელვა კარგა ხნით ადრე გადაჭრა, როცა პირველი ჯგუფური ეტაპი დაძლია და მას შემდეგ არა დასარჩენად, არამედ, რაც შეიძლება უკეთესი ადგილის დასაკავებლად იბრძოდა.

სამწუხაროდ, ქართველებმა პირველი წარმატების შემდეგ ყველა მატჩი წააგეს და A დივიზიონში დარჩენით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობა, ცოტა არ იყოს, გაახუნეს. მაგრამ არაფერია: რისთვისაც ქართველები სლოვენია-იტალიაში მიდიოდნენ, ის მისია შესრულებულია, თუმც უკეთესი იქნებოდა, 8-12 ადგილებისთვის ბრძოლაში ჩვენებს მეტი ფხა გამოეთინათ და ევროჩემპიონატი უფრო თავაწეულებს დაეტოვებინათ.

გასულ უქმეებზე საქართველომ ჩემპიონატის ბოლო 2 მატჩი ითამაშა და ორივეში უიმედოდ დამარცხდა. უსტიაშვილის შეგირდები შაბათს ფრანგებისგან დაიჩაგრნენ, გუშინ კი ლიტვასთან მე-11 ადგილისთვის მატჩშიც თეთრი დროშა ააფრიალეს.

უკვე მერამდენად მოხდა, რომ საქართველოს ნაკრებმა კარგად დაიწყო, მაგრამ თანდათანობით აურია და საბოლოოდ დიდი სხვაობით დამარცხდა. ისე, საფრანგეთთან მატჩი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა წინა, ხორვატებთან შეხვედრას.

ჩვენები თავიდანვე დაწინაურდნენ და შორი სროლების ხარჯზე სოლიდური უპირატესობასაც მიიპოვეს ხელი. 28:22 მოგებული პირველი მეოთხედის შემდეგ უსტიაშვილის შეგირდებმა კიდევ უფრო მოუმატეს და რევაზ დიდიას ტყუპი სამქულიანების შემდეგ 39:30 დაწინაურდნენ.

ეს მოხდა პირველი ტაიმის დასრულებამდე ოთხწუთნახევრით ადრე და რომ გვეგონა, ეგაა და ჩვენებმა მეტოქე გატეხესო, ყველაფერი პირიქით წარიმართა.

ფრანგების 205-სანტიმეტრიანი ფორვარდი აარონ სელი ჩვენებისთვის შეუჩერებელი გახდა. როცა სელს ხელი იბრაჰიმ კომამაც შეაშველა, გეგონებოდათ, ქართველები კომაში ჩავარდნენო. 19:0 — ასე სასტიკად წააგო საქართველომ მომდევნო 5-წუთიანი მონაკვეთი და უკვე დიდი შესვენებისთვის უსტიაშვილის გუნდი ორნიშნა სხვაობით აგებდა.

მერე რაც მოედანზე ხდებოდა, სათქმელად არც ღირს. ფრანგებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და საბოლოოდ 27 ქულით იმარჯვეს.

ამის შემდეგ ჩვენებს მეტოქედ ხორვატიისგან ძლეული ლიტვა ჰყავდათ. ეს ის გამონაკლისი შემთხვევა იყო, როცა საქართველომ პირველ მეოთხედშიც კი ვერ გაუწია მეტოქეს წინააღმდეგობა. ბიჭებმა თითქოს თავიდანვე დაკარგეს წარმატების შანსი, როცა საწყისი ათწუთეული 17:30 წააგეს. ამის მერე დაიწყო ქართველთა გაუთავებელი მცდელობა, მაგრამ უსტიაშვილის შეგირდებმა მეტოქესთან 5 ქულაზე ახლოს მისვლა ველარ შეძლეს. ამჯერად ქართველთა ჯალათი ასევე 205-სანტიმეტრიანი რემიგიუს ტრაკიმასი გახდა, რომელიც ლიტველთა საიმედო ფარქვეშა გარანტი იყო.

ჩვენიანები კარგად ესროდნენ საჯარიმოებს და თან მეტოქეს მხოლოდ 2 სამქულიანი ჩააგდებინეს, მაგრამ რად გინდა — ლიტველებმა 16-ით მეტი ორქულიანი მოინადირეს და ევროჩემპიონატი ქართველებზე ერთი საფეხურით წინ, მე-11 ადგილზე დაასრულეს.

**ირაკლი ბერტაია**

# ძველი ამბავი: ცქიტიშვილი სკამზე

**ლასვეგასური** საზაფხულო ლიგის მორიგ მატჩში „დენვერ ნაგეტსმა" 120:88 დაამარცხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" და ჩვენც იმედიანად გავხსენით ინტერნეტში საამატჩო ოქმი — ვიმედოვნებით ასეთ ქულუხვ თამაშში ნიკა ქიტიშვილი ბარაქიან სტატისტიკას გამოჰკრავდა ხელსო, მაგრამ...

ცქიტიშვილი შემადგენლობაში იყო, მაგრამ მთელი თამაში სათადარიგო სკამზე გაატარა. რატომ, რისთვის, ამერიკული პრესა ამას არ იუწყება. ნიკას ალბათ ტრავმა თუ აწუხებდა, თორემ დენვერელებს სანერვიულო არაფერი ჰქონდათ და ძნელად სავარაუდოა, რომ მწვრთნელს ქართველი მოედანზე არ გაეყვანა.

ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა დღეს სრულდება. „დენვერი" ბოლო მატჩს „ნიუ იორკთან" გამართავს. ვიქტორ სანიკიძის „სან ანტონიომ" კი ლიგაზე გამოსვლა 2 დღის წინ დაასრულა, მაგრამ ქართველმა ფორვარდმა ფეხის მცირე ტრავმის გამო საკუთარი შესაძლებლობები სათანადოდ ვერ წარმოაჩინა.

**ირაკლი ბერტაია**



# შუბი ფერდში
## ტერო პიტკამაკიმ კოლეგა დაჭრა



**ბელნიერ** ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული ფრანგი სიგრძეზე მხტომელი სალიმ სდირი. 80 მეტრიდან გამოტყორცნილი ორმეტრიანი შუბი რომ ფერდში ჩაგესობა და ცოცხალი გადარჩები, უნდა ჩათვალო, რომ ხელმეორედ დაიბადე.

ეს სალიმ სდირი დიდი ვერაფერი მხტომელია, მაგრამ მისი სახელი ამ უქმეებზე მსოფლიომ გაიგო. ფინელი ტერო პიტკამაკის მძლავრი ხელიდან უზერხულად ნატყორცნი და გზააბნეული შუბი მას ნეკნებში მაშინ ჩაესო, როდესაც ნახტომის შემდეგ ქვიშაზე დაეშვა და წამოდგომას აპირებდა. სრულიად გაოგნებულმა სდირიმ ერთი დახედა თავის სხეულში გარჭობილ შუბს, ხელიც შეავლო და მერე კი შეუღონდა გული.

დაეხვივნენ ექიმები, ფაციფუცით იქვე უდასტაქრეს და გააქანეს ჰოსპიტალში. როგორც იქ აღმოჩნდა, სდირი არცთუ სერიოზულად ყოფილა დაშავებული, ჭრილობა მხოლოდ სამი სანტიმეტრის სიღრმისა იყო და შუბს არც ერთი ორგანო არ დაეზიანებინა. ის უკვე გამთენიისას გაწერეს და სასტუმროში ბინებში გამოხვეული დაბრუნდა.

ეს ამბავი პარასკევ საღამოს მოხდა რომის ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც ოქროს ლიგის რიგით მესამე ეტაპი გაიმართა.

თავისთავად სდირიზე არანკლები ნერვიულობა შეხვდა ტერო პიტკამაკის, რომელიც რომში გამარჯვების იმედით ჩავიდა, იქიდან კი ლამის კაცის ცოდვა წამოიღო. სადღეისოდ თავის დისციპლინაში ნომერ პირველ პიტკამაკის თავიდანვე უხეიროდ წაუვიდა შუბი — პირველ ცდაზე მხოლოდ 86,09 მეტრზე ტყორცნა და ჩამორჩა მარადიულ რაყიფს, ნორვეგიელ ანდრეას ტორკილდსენს (88,36), რომელთანაც 2004 წლის ათენის ოლიმპიადა კი წააგო, მაგრამ ბოლო ხანს სადაც შეხვდა, ყველგან აჯობა და რომშიც ფინელი ითვლებოდა ფავორიტად.

– მესამე ცდაზე პიტკამაკის შუბი სასროლ ზონას გასცდა და მარცხნივ სიგრძეზე სახტომ ქვიშრობში საწყალი სალიმ სდირი „აპოვა"–

გამარჯვებას ვინღა დაეძებდა, პიტკამაკი აიჭრა და დანარჩენ ცდებზეც ისე უხეიროდ ისროლა, რომ ლამის სხვებსაც დაუხერიტა ფეხები. მერე ამბობდა — ნეტავი ის მხტომელი გადარჩეს და სხვა არაფერი მინდა რაო.

საბოლოოდ ფინელმა წააგო რომაული შეჯიბრი და გამოეთიშა მილიონის ღირებულების ოქროს მსუყე ნაჭრისთვის მოდავეთა მოკლე სიას.

პიტკამაკიანად ოთხნი იყვნენ, რომაული ეტაპის შემდეგ კი ოქროს ლიგას სამი დაუმარცხებელი მძლეოსანიღა შერჩა. სამივე ქალია — 400-მეტროსანი სანია რიჩარდსი, ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა და 100 მეტრზე თარჯმორბენალი მიშელ პერი.

რიჩარდსმა ჩვეული დამაჯერებლობით მოიგო თავისი „წილი" 400 მეტრი. 2006 წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალი ყველგან ყველას უგებს ერთწრიან დისტანციას, მაგრამ ამ წელს ის ისე დაიმახსოვრებს, როგორც უღიმღამო იმედგაცრუებისას. ერთხელაც ვთქვათ და, სანიას რამდენიმე კვირის წინ შტატების შიდა ჩემპიონატზე რაღაც დაემართა, მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა, ვერ მოხვდა ამერიკის ნაკრებში და ამდენად აგვისტოში ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოტოვებს საყვარელ 400 მეტრს, რომელშიც, ავერ კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი და, ბადალი არ ჰყავს.

რომში რიჩარდსმა 400 მეტრს, პარიზული ეტაპის მსგავსად, 50 წამზე ნაკლები ამყოფინა, ეს დისტანცია 49,77 წამში გალია და 0,38 წამით აჯობა 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ამი მბაკეს.

ქალთა ჭოკით ხტომაში ისინბაევა რომ გაიმარჯვებდა, ეჭვიც კი არავის შეჰპარვია, მაგრამ რომის „ოლიმპიურზე" შეკრებილ საზოგადოებას იმის იმედი ჰქონდა, რომ წლეულს მშვენიერ ფორმაში მყოფი ამერიკელი მეჭოკე ჯენ სტუჩინსკი გაუწევდა ასე თუ ისე ღირსეულ მეტოქეობას, მაგრამ იანკი-გელმა ცოტა ხნის წინ წელი იტკინა და რომაულ ვარჯიშზე გაიმეზა ტრავმა. ისინბაევაც ჭოკით ხელში თითქმის ხუთი მეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასასთან პრაქტიკულად მარტო დარჩა. მან 4,90 მეტრი დაძლია და თავისივე მსოფლიო რეკორდს — 5,02 მეტრს შეუტია, თუმც ამაოდ.

უილესად მოიგო მიშელ პერიმაც — ახლოსაც კი არავინ გაიკარა. 100 თარჯებით შეჭედილი მეტრი 12,44 წამში გაირბინა და კონკურენტთა ათეულს აგრძნობინა, რომ თუ ცოტა არ აუჩქარეს ფეხს, სულ ასე კუდში დარჩებიან. მდევართა შორის უყოჩაღესი ესპანელი ჯოზეფინ ონია მას 0,33 წამით ჩამორჩა, შვედი სუზანა კალური კი 0,38-ით. 12,44 წამი სეზონის რეკორდი გახლავთ.

ორგანიზატორთა გულსახარად ოქროს ლიგას დაუბრუნდა მძლეოსნობის იამაიკელი მარგალიტი ასაფა პაუელი. 100 მეტრის მფლობელის პარიზული ეტაპის გამოტოვების შემდეგ რომში სირბილი მოახერხა და ტრავმას მისთვის სეზონის პირადი რეკორდის დამყარებაში ხელი არ შეუშლია — ასაფამ 100 მეტრი 9,90 წამში გაირბინა. ის რომ არა, მის არყოფნაში დროებით გადიდკაცებული ბაჰამელი დერიკ ეტკინსი (10,04) ზედიზედ მეხუთე გარბენს მოიგებდა.

**კოტე ყორშია**

ველორბოლა

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# გარდამავალი ყვითელი მაისურა ვინოს წყალი შეუდგა



„ასტანის" ლიდერებს ვერც ბორატის სამოსში გამოწყობილმა ფანმა უშველა

AFP

**შაბათს** ზღვის დონიდან 1618 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დე გალემბიეთი წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" მთები დაიწყო. შაბათის ეტაპი ურთულესთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა — პირველი კატეგორიის მწვერვალ დე გალემბიემდე ერთი მეოთხე და ორი მესამე კატეგორიის მთა იყო და ფინიშიც არ იყო აღმართში — ეტაპის უმაღლესი წერტილიდან ველოსიპედისტებს კიდევ 15 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი.

მაგრამ, ეს მაინც უკვე ალპები იყო — უღელტეხილზე უამრავი ქომაგის მიერ დატოვებული ვიწრო გასასვლელით, ფაქტობრივად საცალფეხო ბილიკით, სადაც მრბოლები ძლივს მიიკვლევდნენ გზას.

მეორეს მხრივ, ალპები კი იყო, მაგრამ ამ ეტაპს, უფრო მოსათელი ეთქმოდა და, როდესაც რამდენიმე, ნაკლებად ცნობილი მრბოლი პელოტონს გაექცა, ფავორიტებს თავი არ მოუკლავთ. ისინი ერთმანეთს ზვერავდნენ და შინაგანად, მომდევნო ორი, მართლაც რომ ურთულესი ეტაპისთვის ემზადებოდნენ.

მრბოლთა ასეთი საქციელით დიდებულად ისარგებლა „T-მობაილის" ახალგაზრდა გერმანელმა ლინუს გერდემანმა, რომელიც რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად მოწყდა ძირითად ჯგუფს და დე გალემბიეს აღმართს, უკვე ცალკე შეუყვა. მას უკან ესპანელები — ინიგო ლანდალუზი და დავიდ დე ლა ფუენტე მიჰყვებოდნენ, მაგრამ გერმანელმა გაუძლო, მწვერვალს პირველმა უწია, ბოლო დაღმართში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა და ლე გრან ბორნარის ქუჩებში, სტარტიდან 197,5 კილომეტრის შემდეგ ტრიუმფი მოიწყო — ეტაპი ხომ მოიგო და ლიდერის ყვითელი მაისურაც მოირგო.

მეორე ადგილზე გასულ ლანდალუზი გერდემანს 40 წამით ჩამორჩა და გენერალურ კლასიფიკაციაშიც მეორე ადგილზე აინაცვლა გერმანელთან წუთისა და 24 წამის ჩამორჩენით.

ძირითადმა ჯგუფმა ფინიშს სამწუთნახევრის დაგვიანებით უწია და ყველა ფავორიტი ამ ჯგუფში იყო. რაც შეეხება შვეიცარიელ ფაბიან კანცელარას, ვინც ლონდონში მოწყობილი პროლოგიდან მოყოლებული, მთელი ერთი კვირა იწონებდა თავს ყვითელი მაისურით, უიმედოდ ჩამორჩა, მხოლოდ 148-ე იყო და საერთო ჩათვლაშიც, პირველი ადგილიდან ერთბაშად 108-ზე დაქვეითდა.

გუშინ კი „ტურზე" ჭეშმარიტად სამეფო ეტაპი იყო — ლე გრან ბორნარიდან ტინამდე გასავლელი 165 კილომეტრიანი გზის საწყის 50 კილომეტრზე სამი მომცრო მთა იყო, შესაბამისად მე-4, მე-3 და მე-2 კატეგორიის და მერე კი გზაზე სამი პირველი კატეგორიის მწვერვალი იყო აღმართული — 1967 მეტრიანი დე როსელენი, 1639 მეტრიანი დე პეტი სენ ბერნარი და ბოლოს 2068 მეტრიანი დე ტინი ურთულესი საფინიშო აღმართით.

ლინუს გერდემანმა გუშინწინ რომ ჩაიცვა ყვითელი მაისურა, გუშინ გაიხადა. ახალგაზრდა გერმანელმა მედგრად იბრძოლა, თითქმის ბოლო კილომეტრებამდე ძირითად ჯგუფში იყო, მაგრამ ტინის აღმართს ველარ გაუძლო და გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე დაქვეითდა. ხვალ, როდესაც პელოტონი ლამის ცამდე ავა და დე იზერანისა (2770მ) და გალიბაიერის (2645მ) გიგანტურ მთებს გადალახავს, გედერმანი გაცილებით დაბლა დაეშვება.

საგარაუდოდ, დიდხანს პირველობას ვერც დანიელი მიქაელ რასმუსენი შეინარჩუნებს. რასმუსენმა თავისი ჩვეული საქმე გააკეთა — „რაბობანკის" 33 წლის მრბოლი ზედიზედ მესამე ტურზე" უმიზნებს საუკეთესო სამთო მრბოლის წითელწინწკლებიან თეთრ მაისურას და საამისოდ მან ზედიზედ მესამე „ტურზე" მოიგო სამთო ეტაპი. თანაც ისე გამოვიდა, რომ გუშინდელი გამარჯვებით რასმუსენმა წინწკლებიან მაისურასთან ერთად ყვითელიც დაითრია და რამდენიმე დღე ამ ყველასათვის სანატრელ ფერშიც თუ მოიწონებს თავს, ამას რა აჯობებს.

რასმუსენი იმ ექვსკაცა ჯგუფში იყო, პირველივე მთაზე რომ დაწინაურდა, მაგრამ მერე, ფინიშამდე 54 კილომეტრით ადრე ამ ჯგუფის ორი წევრი — ესპანელი აროიო და ავსტრალიელი როჯერსი დიდი სიჩქარით დაშვებისას დაეცნენ. აროიომ გაძლო, ერთი ხანობა მეორეც კი იყო და ფინიშამდე მივიდა, ხოლო როჯერსმა რაღაც მომენტში კი მოახერხა მოწინავეთა შორის დაბრუნება, მაგრამ შემდეგ ტკივილებს ვეღარ გაუძლო და რბოლა შეწყვიტა.

ბოლო, ტინის აღმართი რომ დაიწყო, ცალკე რასმუსენმა მიატოვა თავისი თანამგზავრები და უკან, ძირითად ჯგუფში, კრისტოფ მორომ წამოიწყო იერიში და ფრანგთა იმედს უკან იბან მაიო, ალეხანდრო ვალვერდე, ანდრეი კაშეჩკინი, ფრენკ შლეკი, ალბერტო კონტადორი და კედელ ევანსი მიჰყვნენ.

სხვა ფავორიტები ალექსანდრ ვინოკუროვისა და ანდრეას კლოდენის თაოსნობით ოდნავ ჩამორჩნენ და ცოტა ხანში ეს ჩამორჩენა წუთზე მეტი გახდა. მერე, პირველ რიგში კლოდენის ძალისხმევით, „ასტანას" ლიდერები მოროს ჯგუფს 20 წამზე მიუახლოვდნენ, მაგრამ აქ ვინოკუროვი დაღლა. მეხუთე ეტაპზე დაცემას, როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია და „ვინო" ტემპს ველარ აჰყვა. კლოდენმა თითქოს მიატოვა თავისი ლიდერი, მაგრამ, როგორც ჩანს, მერე გუნდის შეფებისგან ბრძანება მიიღო, „ვანოს" დაელოდა და ფინიშამდე მიიყვანა. ამასობაში პირველ ჯგუფს კონტადორი ჩამორჩა, ვისაც კარლოს სასტრე და დენის მენშოვი წამოეწივნენ. მერე მაიომ მიატოვა თანამგზავრები და რასმუსენს გამოუდგა.

დანიელმა ეულად უწია ფინიშს, მაიო მეორე იყო, ხოლო მესამე ადგილისა და პრემიალური წამებისთვის ბრძოლაში ვალვერდემ იმარჯვა და ახლა, ფავორიტთაგან, საერთო ჩათვლაში სწორედ ის არის ყველაზე წინ, თუმც ეს წინ ყოფნა სიმბოლურია — კაშეჩკინი ესპანელთან ერთ წამს აგებს, ხოლო ევანსი — ორს.

მეშვიდე მოროა ვალვერდესთან 17-წამიანი ჩამორჩენით. მერე კონტადორი შლეკი, მენშოვი, სასტრე და კლოდენი მოდიან, ხოლო ვინოკუროვი მხოლოდ ოცდამეორეა და ვალვერდესთან 2 წუთსა და 32 წამს აგებს.

| მე-7 ეტაპი. ბურჟ ან ბრესი — ლე გრან ბორნარი. 197,5 კმ | |
|---|---|
| 1. ლინუს გერდემანი (გერმანია, „T-მობაილი") | 4სთ 53წთ 13წმ |
| 2. ინიგო ლანდალუზი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +40წმ |
| 3. დავიდ დე ლა ფუენტე (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +1წთ 39წმ |
| 4. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | +2წთ 14წმ |
| 5. ლორან ლეფევრი (საფრანგეთი, „ბუჟ ტელეკომი") | +2წთ 21წმ |
| **მე-8 ეტაპი. ლე გრან ბორნარი — ტინი. 165 კმ** | |
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 4სთ 49წთ 40წმ |
| 2. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +2წთ 47წმ |
| 3. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +3წთ 12წმ |
| 4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | +3წთ 13წმ |
| 5. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +3წთ 13წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 39სთ 37წთ 42წმ |
| 2. ლინუს გერდემანი (გერმანია, „T-მობაილი") | +43წმ |
| 3. იბან მაიო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") | +2წთ 39წმ |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +2წთ 51წმ |
| 5. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, „ასტანა") | +2წთ 52წმ |

რაგბი

# სამი ერი 2007

კრაისტჩერჩი. 14 ივლისი

**ახალი ზელანდია 33:6 სამხრეთ აფრიკა**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, ტოეავა, მაკალისტერი, როკოკოკო; კარტერი, ვეეპუ; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), სორნი, რობინსონი, ჯეკი, ჰეიმანი, მეალამუ, ვუდკოკი

**სათადარიგოები:** ჰორი, ტიალატა, კოლინზი, მასო, ლეონარდი, სმიტი, ევანსი

**ვლ:** ლეონარდი, ევანსი, კარტერი; **ვგ:** კარტერი; **4ს:** კარტერი

**სამხრეთ აფრიკა:** პიტერსენი, პოლსი, მიურეი, ოლივერი, პრეტორიუსი; ჰაუხარდი, პინარი; კრონიე, ვანენბურგი, ფან ჰეერდენი, მულერი (კაპ), ფან დენ ბერგი, ი. დიუ პლესი, ბ. დიუ პლესი, ფან დერ ლინდე

**სათადარიგოები:** ბ. ბოთა, ენდრიუსი, ბრიცი, ლობერტსი, კლაასენი, გრანტი, ჩავჩანგა

**2ს:** ჰაუხარდი

# ახალი ზელანდია და მისი შავი ნაბადი

„მიხარია, მაგრამ ეიფორიაში ნამდვილად არ ვარ. ეს წარმატება ჩემი გუნდისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად სამხრეთაფრიკელთა არცთუ ოპტიმალური შემადგენლობისა, ამ თამაშში რეალურად აისახა ჩვენი შესაძლებლობები და პოტენციალი. მე უკვე მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობ. ავსტრალიასთან ტესტი ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს და ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. ვიმედოვნებ, რომ მომავალ შაბათს ბლედისლოუს თასსაც მოვიგებთ და სამი ერის პირველობასაც. რა თქმა უნდა, გვაქვს პატარა ხარვეზები თამაშის ორგანიზებაში, მაგრამ მჯერა, რომ მსოფლიოს თასს მშვენიერი განწყობით შევხვდებით" — ნამატჩევ პრესკონფერენციაზე „შავების" დამრიგებელი გრემ ჰენრი აშკარად კმაყოფილი ჩანდა.

მისი გუნდის კაპიტანმა რიჩი მაკქოუმ სამ ერზე ავსტრალიასთან მარცხის პასუხისმგებლობა თავის თავზე რომ აიღო, ძველი ამბავია და აღარც მის მონანიებას გავიმეორებთ, მაგრამ „ქურციკებთან" ჯახის შემდეგ მაკქოუ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა და ყველას გადაავიწყა ახლო წარსულის ცოდვები.

სამხრეთაფრიკელთა შემადგენლობა არაოპტიმალური გახლდათ. უკვე მეორე თამაშია, რაც გუნდს ძირითადის რამდენიმე მორაგბე აკლია. კაპიტნების ქრონიკულმა ცვლამ და შერკინების მუდმივმა როტაციამ „ქურციკებისთვის" უარყოფითი შედეგი გამოიღო. სანამ ვიქტორ მეტფილდი, ბაკიზ ბოთა, შხალკ ბურგერი და ძმანი მათნი გუნდში არ დაბრუნდებიან, ალბათ საქმეს არაფერი ეშველება. არადა, სტუმრების თამაშს თითქოს არა უშავდა, შეხვედრის 46-ე წუთამდე ანგარიში 6:6 იყო, მაგრამ...

მატჩის დაწყებამდე წუთებით ადრე მაორებს იძულებითი ცვლილებების განხორციელება მოუხდათ. სიტივენი სივივატუს გახურების დროს კუნთი გაეჭიმა და ის ჯო როკოკოკომ შეცვალა. სამხრეთაფრიკელებმა თამაში ტაქტიკურად გამართულად დაიწყეს: ბურთს აკონტროლებდნენ და ტემპსაც კარნახობდნენ, მაგრამ, როგორც ავსტრალიასთან, აქაც გადაუხვიეს საწყისი გეზიდან. პირველი ნახევარი 6:3 დამთავრდა ახალ ზელანდიელთა სასარგებლოდ. კარტერის ორ საჯარიმოს ჰაუხარდმა ერთით უპასუხა. მართალია, მეორე ტაიმის დასაწყისში „ქურციკებმა" ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ 46-ე წუთზე ვანენბურგის გაძევების შემდეგ მათი შერკინება ადვილად გადასალახი გახდა.

დაახლოებით ამ დროისთვის მაორთა რიგებში ცვლილება განხორციელდა, პირი ვეეპუ ბრენდონ ლეონარდმა შეცვალა, რითაც გუნდმა თამაშის ტემპი საგრძნობლად გაზარდა. ათი წუთი გაუძლეს თავბრუდამხვევ ტემპს „ქურციკებმა", შემდეგ ერთ მომენტში პოლსი შებოჭეს, მშვენივრად მოთამაშე დაგ ჰაულეტმა ბურთი ხელში მოიგდო და ვითომ როკოკოკოსთვის უნდა გაეტანებინა, მაგრამ ლეონარდი კი დატოვა თავისუფალი დერეფნის წინაშე და თამაშის პირველი ლელოც ამ კომბინაციით გავიდა.

ანგარიში 19:6 იყო, როცა სამხრეთაფრიკელებმა ჩათვალეს, რომ აღარაფერი ჰქონდათ დასაკარგი და უკანმოუხედავად შეუტიეს, რითაც ისევ „შავებმა" იხეირეს და დარჩენილ ოთხ წუთში ორი ლელო გაიტანეს.

მასპინძლებმა თამაში დამაჯერებლად მოიგეს და მომავალ შაბათს ავსტრალიას უმასპინძლებენ ფინალის ტოლფას შეხვედრაში. კულისებს მიღმა ლაპარაკობენ, რომ „შავებს" „ვოლაბების" კომპლექსი აქვთ და ისე სურთ მსოფლიოს თასის წინ ამ კომპლექსისგან გათავისუფლება, როგორც არასდროს ენახოთ.

**ზურაბ მიზრიაული**

ხელბურთი

# ჩელენჯ ტროფი საქართველოში

**ვენაში** ევროპის ხელბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე საქართველოსთვის სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღეს: ვაჟთა „ჩელენჯ ტროფის" მორიგი ტურნირის ერთ-ერთი ქვეჯგუფის მატჩები ჩვენს ქვეყანაში გაიმართება.

რიგით მეხუთე „ჩელენჯში" მონაწილეობის სურვილი ევროპის ათმა ქვეყანამ გამოთქვა. გუნდები ორ ჯგუფში გაანაწილეს (მეორეს შოტლანდია უმასპინძლებს). ქართველ ხელბურთელებს მეტოქეებად მოლდოვას, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებები ეყოლებათ. თამაშები 25-27 ოქტომბერს ჩატარდება.

ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს ფინალურ მატჩში შეხვდებიან, რომელიც მომავალი წლის იანვარში, ნორვეგიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დროს გაიმართება.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის
პრეზიდენტს ქალბატონ ლეილა მესხს

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობას

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრთა

## განცხადება

### რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

ჩვენ, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრები, ვითვალისწინებთ რა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ინტერესებს, ვხელმძღვანელობთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წესდების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დ) ქვეპუნქტით, მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტით და მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით:

ვიწვევთ საქათრველოს ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე კრებას 2007 წლის 31 ივლისს 19 სთ-ზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.№18 (იან ჰომერის სახელობის კორტები).

### დღის წესრიგი

1) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის გადარჩევა — უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა;

2) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა;

3) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობის გადარჩევა — წევრთა უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა;

4) საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გამგეობის წევრთა არჩევა

### აღნიშნული კრების მოწვევის აუცილებელი მიზეზებია

ა) ქართულ ჩოგბურთში შექმნილი საგანგაშო ვითარება: კერძოდ, მომავალი თაობების არარსებობა, რაც ვლინდება ნებისმიერი ასაკის გოგონათა და ვაჟთა ტურნირების დროს;

ბ) ბაზების და საჩოგბურთო ინფრასტრუქტურის სიმწირე და არანაირი ზრუნვა მათი განვითარებისა და რეაბილიტაციისათვის;

გ) რეგიონებში ჩოგბურთის არარსებობა;

დ) დაფინანსების სიმწირე და მრავალი სხვა...

რეგისტრაცია დაიწყება 31 ივლისის 18 სთ-ზე და დამთავრდება 19 სთ-ზე

შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადაა 27 ივლისი, იგივე მისამართზე ლუბლიანას №18

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის წევრები:



# ლათინური კვირა: ფრანგები, ესპანელები და ერთი იტალიელი

**კაცები**
**გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი. საპრიზო 421 250 €**

**ნახევარფინალი**

პოლ-ანრი მატიო (5, საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3 6:4; ანდრეას სეპი (იტალია) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4 3:6 7:6

**ფინალი**

მატიო — სეპი 6:7 6:4 7:5



პოლ-ანრი მატიო

ზედიზედ მეორე წელია, შვეიცარიულ გშტაადში ფრანგი იგებს. შარშან ალპებში რიშარ გასკემ იჩემპიონა, ახლა კი პოლ-ანრი მატიომ იხეირა, რომელმაც წლეულს უკვე მეორე ტიტულს გამოჰკრა ხელი.

შარშანდელი ამაზრზენი სეზონის შემდეგ მატიო წლეულს თავისთვის უჩვეულოდ სტაბილურად თამაშობს, რაც ფრანგმა ამ კვირაშიც დაამტკიცა. რეიტინგში 28-ე პოზიციაზე მყოფი გალი ამ ტრიუმფის შემდეგ უფრო წინ წაიწევს.

ისე კი, ფინალში მატიოს 111-ე საფეხურზე მყოფი ანდრეას სეპის სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა. იტალიელს ძალიან სურდა გშტაადში გამარჯვება, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი რანგის ტურნირის ფინალში მას აქამდე არასოდეს ეთამაშა, მეორეც, შვეიცარიაში ბოლო იტალიელი, ვინც ფინალში გავიდა, ადრიანო პანატა იყო. მან ეს შორეულ 1976 წელს შეძლო.

ჰოდა, არნახული მოტივაციით მოთამაშე აპენინელმა მაგრად იბრძოლა და მასზე გაცილებით ძლიერ მატიოს ბლომად თავსატეხი გაუჩინა. სეპიმ ბოლომდე იბრძოლა და გადამწყვეტ სეტში კინაღამ ტაიბრეიმადეც მიიყვანა საქმე — საამისოდ მას საჭირო ბრეიკ პოინტიც ჰქონდა, თუმც ფრანგმა საქმე აღარ გააჯანჯლა და ორიოდ ძლიერი მოწოდების შემდეგ გშტაადური თასი აღმართა.

**კაცები**
**ბასტადი. შვედეთი თიხნარი საპრიზო 353 450**

**ნახევარფინალი**

ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) — კარლოს მოია (4, ესპანეთი) 6:3 1:6 6:2; დავიდ ფერერი (2, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (5, იტალია) 6:2 6:1

**ფინალი**

ფერერი — ალმაგრო 6:1 6:2

შვედური ბასტადის გამარჯვებულის ვინაობა შიდა ესპანურ ჯახში გაირკვა. აქ ერთმანეთს წლეულს მეორე ტიტულის მაძიებელი პირინეელები, დავიდ ფერერი და ნიკოლას ალმაგრო დაეტაკნენ. პირველს აქამდე წლის დასაწყისში, ოკლენდში ეჩემპიონა, მაშინ როცა ალმაგრომ აპრილში ვალენსიაში იხეირა.

ესპანურ დერბიდან ბევრი დაძაბულ შეხვედრას ელოდა, მაგრამ ბრძოლის მაგვარიც კი არ ყოფილა — ფერერმა უპრობლემოდ დასცა თანამემამულე. ისე, ამ ბიჭმა მთელი ტურნირი ასე, ერთი ამოსუნთქვით გაიარა და შვედურ ტიტულს უეჭველად იმსახურებდა — იმავე ალმაგროსაც შავი დღე აყარა და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

ფერერს წლეულს მართლაც შესაშური სათხინარო სეზონი ჰქონდა — გრუნტზე დავიდმა 18-ჯერ იმარჯვა და მხოლოდ 5-ჯერ წააგო. ამ საფარზე მასზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ „გრუნტის მეფედ" აღიარებულ რაფაელ ნადალს აქვს, რომელმაც 26-ჯერ მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

**კაცები**
**ნიუპორტი. აშშ. ბალახი საპრიზო 416 000 $**

**ნახევარფინალი**

ნიკოლა მაჰუ (5, საფრანგეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 6:4 6:7 6:2; ფაბრის სანტორო (4, საფრანგეთი) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 6:3

ბასტადში თუ ესპანური ფინალი იყო, ამერიკულ ნიუპორტში ფრანგული ჩოგანკვეთება შედგა — ნიკოლა მაჰუ ვეტერან ფაბრის სანტოროს დაეტაკა.

მაჰუ წლეულს უკვე მეორე საბალახო ფინალს ითამაშებს — მან ზედ უიმბლდონის წინ ქუინსის გადამწყვეტ მატჩამდეც მიაღწია და იქ გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ ხელები ნაადრევად აუკანკალდა და გზა ენდი როდიკს დაუთმო. თუმც ამჯერად მაჰუ ალბათ უფრო თამამი იქნება და შეეცდება, წლეულს პირველი ტურნირი მოიგოს.

რადიკალურად განსხვავებული გეგმები აქვს სანტოროს — 34 წლის ვეტერანი შეიძლება ძველებურად სწრაფი ვეღარ იყოს, მაგრამ ჩვეული ხრიკებითა და ჩახლართული კომბინაციებით მაჰუს გამწარება კიდევ ხელეწიფება.

**კახა ლომჯარია**

# ანა და ძველი ალექსანდრა

**გასული კვირა** ქართველმა ჩოგბურთელებმა ანა ტატიშვილმა და სალომე დევიძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით გამართული 50-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობით დაიწყეს. ჩვენებურთა ბოსტონობა მეორე წრეში დასრულდა და ანა და სალომე ეგრევე ცინცინატში წავიდნენ, სადაც რანგით გაცილებით მაღალი, WTA ტურის 175-ათასიანი ტურნირი ტარდება.

ცინცინატურ ჰარდზე თამაში ქართველებმა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყეს და ბოსტონისგან განსხვავებით, სადაც ძირითად ბადეში, სწორედ კვალიფიკაციის გავლით მოხვდა, დევიძე პირველივე ბარიერთან შეჩერდა — მექსიკელმა მელისა ტორეს სანდოვალმა ჩვენებურს სამ სეტში — 6:7 6:3 6:2 მოუგო.

სალომესგან განსხვავებით, კვალიფიკაციის პირველი წრე წარმატებით გაიარა ტატიშვილმა, რომელმაც 6:1 6:3 გაანადგურა ამერიკელი ნეა უბეროი. მეორე წრეში ანას მეტოქე კიდევ ერთი და საკმაოდ ცნობილი ამერიკელი ალექსანდრა სტივენსონია, რომელმაც სასტარტო მატჩში 7:6 6:1 მოუგო თავისივე თანამემამულეს ჯულია კოენს.

სტივენსონი მართლაც საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ჩოგბურთში. უფრო სწორად, იყო — ლეგენდარული კალათბურთელის ჯულიუს ირვინგის უკანონო ქალიშვილი თავის დროზე მეტეორივით შეიჭრა კორტებზე და უიმბლდონის ნახევარფინალსაც კი უწია, მაგრამ მერე ჩაიკარგა და ერთ რიგითზე რიგით მოთამაშედ იქცა.



ანა ტატიშვილი

# სამპრასს სამპრასისა

**ამ უქმეებზე** ჩოგბურთის დიდების დარბაზს ახალი წევრები შეემატნენ — ეს პატივი რეკორდული, 14 სლემტურნირის მომგებ ამერიკელ პიტ სამპრასს, „როლან გაროსის“ სამგზის ჩემპიონ ესპანელ არანჩა სანჩეს ვიკარიოს, სლემტურნირის მომგებ პირველ შვედ სვენ დავიდსონსა და ჩოგბურთში 50 წლის განმავლობაში მოღვაწე ამერიკელ სპორტულ ფოტოგრაფ რას ადამსს ერგოთ.

როგორც წესი, დიდების დარბაზის მომავალ წევრთა ვინაობას წლის დასაწყისში ასახელებენ ხოლმე, მაგრამ ჩოგბურთელთა სახელების უკდავყოფის ცერემონია სწორედ ამ დროს, უიმბლდონის მომდევნო შაბათ-კვირას იმართება ამერიკულ როდ აილენდის ქალაქ ნიუპორტში.

ახლა კი უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ დიდების დარბაზის ახალ წევრთა დამსახურებებს.

დავიწყოთ 35 წლის სამპრასით, რომელიც ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მეჩოგნის სახელით დარჩება. პიტს ხომ რეკორდული 14 სლემტურნირი აქვს მოგებული (7 უიმბლდონი, 5 აშშ-სა და 2 ავსტრალიის ღია პირველობები) და მხოლოდ „როლან გაროსი“ დარჩა მისთვის მიუღწეველ ოცნებად. ალბათ, პარიზული ტიტული რომ არა აქვს, სწორედ ამიტომ არ აღიარებენ მას ყველა დროის საუკეთესო მეჩოგნედ. სლემტურნირებზე მან 203 მატჩი მოიგო 38 მარცხის წილ.

სამპრასი რეიტინგში პირველ საფეხურზე იმყოფებოდა ჯერაც რეკორდულ 286 კვირის განმავლობაში, აქედან 102 კვირა ზედიზედ (ეს რეკორდი როჯერ ფედერერმა წლეულს დაამხო). ზედიზედ 12 წლის განმავლობაში პიტი რეიტინგში საუკეთესო ათეულის უცვლელი წევრი იყო.

1993-დან 1998 წლების ჩათვლით სამპრასი ზედიზედ ექვსჯერ დაასახელეს წლის ჩოგბურთელად.

ამერიკელს ხუთჯერ აქვს მოგებული წლის შემაჯამებელი ტურნირი, იგივე მასტერსის თასი — ამ რეკორდს სამპრასი ივან ლენდლთან იყოფს. პიტის მოგება-წაგებების კარიერული მაჩვენებელი 762-222-ზეა, რაც მეშვიდე შედეგია ყველა დროის ჩოგბურთელთა შორის. მის ანგარიშზე ერთეულთა თანრიგში მოგებული 64 ტურნირია (88 ფინალიდან) და ასევე ორჯერ უმარჯვია წყვილთა შორის.

სამპრასმა პირველი ტიტული ფილადელფიაში მოიგო 1990 წლის თებერვალში, ბოლო კი — 2002 წელს აშშ-ს ღია პირველობა, რომლესაც ფინალში თავისი მუდმივი მეტოქე ანდრე აგასი დასცა.

სამპრასი ლიდერად რჩება კარიერაში მოგებული საპრიზო თანხების მიხედვითაც — 43 280 489 დოლარი.

გარდა ამისა, სამპრასი 8 წლის განმავლობაში დევისის თასზე მონაწილეობდა აშშ-ს ნაკრების რიგებში და ის ორჯერ — 1992 და 1995 წლებში მოუგია. დევისის თასზე სამპრასმა 19-ჯერ იმარჯვა 9 მარცხის წილ (15-8 ერთეულთა და 4-1 წყვილთა შორის).



პიტ სამპრასმა დიდების დარბაზში გაწევრიანება ოჯახის წევრებთან ერთად ძხეიმა

სანჩეს-ვიკარიო პირველ ესპანელი ქალი ჩოგბურთელი იყო, ვინც აშშ-ს ღია პირველობა მოიგო 1994 წელს), მთლიანად კი მას 14 სლემტურნირი მოუგია (10 წყვილთა შორის). არანჩა ერთ-ერთია იმ ოთხ მეჩოგნეთაგან, ვინც ერთდროულად პირველი ადილზე იყო ერთეულთა და წყვილთა რეიტინგებშიც — ეს ამბავი 1995 წლის 13 თებერვალს მოხდა.

რაც შეეხება დავიდსონს, ის შვედეთის უცვლელი ნომერ პირველი ჩოგანი იყო ბიორნ ბორგის გამოჩენამდე. 1955-57 წლებში ზედიზედ სამჯერ გავიდა „როლან გაროსის“ ფინალში, 1958 წელს კი უიმბლდონზე იმარჯვა წყვილთა შორის.

**ძაბა ლომკაშვილი**


## სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა 16 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 65 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| | | შვედეთი. სუპერეტა 16 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 71 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 72 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.30 | 4.60 | 8.50 | 1.01 | 1.12 | 2.98 |
| 21:00 | 73 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | ფინეთი 16 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 82 | ტურკუ-კტპ | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | ირლანდია 16 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 196 | შემროკი-დუბლინი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| | | ევროპის ჩემპიონატი (19) ავსტრია 16 ივლისი | | | | | | |
| 19:15 | 173 | საბერძნეთი 19-პორტუგალია 19 | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 20:00 | 174 | საფრანგეთი 19-სერბეთი 19 | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 175 | გერმანია 19-რუსეთი 19 | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:00 | 176 | ავსტრია 19-ესპანეთი 19 | 6.30 | 3.70 | 1.45 | 2.33 | 1.17 | 1.04 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.70 | 2.10 | 3.20 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10065 | ჰალმსტადი-იორებრო | 2.05 | 2.20 | 5.30 | 1.06 | 1.47 | 1.55 |
| 10071 | ფალკენბერგი-მიალბი | 2.90 | 2.00 | 2.95 | 1.18 | 1.46 | 1.19 |
| 10072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.55 | 2.80 | 7.50 | 1.00 | 1.28 | 2.03 |
| 10073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 2.50 | 2.00 | 3.55 | 1.11 | 1.46 | 1.27 |
| 10082 | ტურკუ-კტპ | 1.85 | 2.30 | 6.00 | 1.02 | 1.41 | 1.66 |

### I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11065 | ჰალმსტადი-იორებრო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11071 | ფალკენბერგი-მიალბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11082 | ტურკუ-კტპ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 12065 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.90 | 1.70 |
| 12071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 2.00 | 1.60 |
| 12073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 12082 | ტურკუ-კტპ | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13065 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.70 | 1.90 |
| 13071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.60 | 1.95 |
| 13072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 2.00 | 1.55 |
| 13073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ტურკუ-კტპ | 1.70 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.80 | 2.00 |
| 14065 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.30 | 2.50 |
| 14071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 14072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.08 | 2.90 |
| 14073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 1.75 | 2.10 |
| 14082 | ტურკუ-კტპ | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | ჰალმსტადი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | ფალკენბერგი-მიალბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ტურკუ-კტპ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.65 | 2.05 |
| 16065 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.22 | 3.40 |
| 16071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.80 | 1.85 |
| 16072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.08 | 5.00 |
| 16073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 1.50 | 2.30 |
| 16082 | ტურკუ-კტპ | 1.17 | 4.10 |

### ბოლო: [illegible]-1/ფრე კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17064 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17065 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17071 | ფალკენბერგი-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ნორჩოპინგი-დეგერფორსი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | იოსტერსი-ენჩოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ტურკუ-კტპ | 1.85 | 1.95 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი


მექსიკური ზეიმი:
ლოზანო, ბრავო და ბლანკო




**მატჩი მესამე ადგილისთვის**
**ურუგვაი 1:3 მექსიკა**

1:0 აბრეუ (22), 1:1 ბლანკო (38პ), 1:2 ბრავო (68), 1:3 გუარდადო (76)
ურუგვაი: კარინი, სკოტი, ლუგანო, კ. ვალდესი, მ. პერეირა, პაბლო გარსია (გარგანო 79), კ. როდრიგესი, ფუსილე, ი. გონსალესი (კანობიო 74), ფორლანი (ვ. სანჩესი 74), აბრეუ
მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი
მექსიკა: ოჩოა, კასტრო, ფ. როდრიგესი, მაგალონი, პინტო (გუარდადო 64), ტორადო, მორალესი, ლოზანო (კორეა 78), ბლანკო, ნ. კასტილიო, ბრავო (ლანდინი 88)
მწვრთნელი: უგო სანჩესი
გაფრთხილება: პინტო, ფორლანი, სკოტი, პაბლო გარსია, კასტილიო
გაძევება: ლუგანო (36)
მსაჯი: მაურისიო რეინოსო (ეკვადორი)
30 000 მაყურებელი

# ლუგანოს იდაყვი და ბრინჯაოს მექსიკა

**ურუგვაელი** დიეგო ლუგანოსთვის ბოლო ორი მატჩი უიღბლო გამოდგა. ბრაზილიასთან ნახევარფინალში პენალტი ვერ გაიტანა, ხოლო შაბათს მექსიკასთან მატჩში გააძევეს.

მექსიკამ „კოპა ამერიკას" ბრინჯაო მოიგო და 1997-ისა და 1999-ის მიღწევა გაიმეორა. ურუგვაი თავიდანვე იშტაზე იყო და ორ წუთში ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს — ჯერ სებასტიან აბრეუმ აცილა ხელსაყრელი პოზიციიდან, მერე კი ხორხე ფუსილეს გილერმო ოჩოამ აულო.

მე-18 წუთზე ლუგანომ საკუთარ საჯარიმოში ომარ ბრავო წააქცია, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ოთხ წუთში კი აბრეუმ ანგარიში გახსნა, მარცხენა ფლანგიდან პერეირას ჩაწოდებულ ბურთს ძელთან დაუხვდა, მცველებს დაასწრო და თავით გაიტანა.

დიეგო ლუგანო მსაჯს მეორედ ველარ გადაურჩა, როცა ნერი კასტილიოს იდაყვი ჩაარტყა. ურუგვაელი გააძევეს და მათ კარში პენალტი კვატემოკ ბლანკომ გაიტანა. კაცნაკლულებმა კარგა ხანს გაუძლეს მექსიკის შეტევებს, მაგრამ მეორე ტაიმის შუაში ორი ლამაზი გოლი გაუშვეს. საჯარიმოს გარედან ომარ ბრავომ უძლიერესად დაარტყა — ბურთმა ფაბიან კარინის თავზე გადაუშხუილა და ცხრიანში შევარდა. ოსკარ ტაბარესმა შეტევის გასაძლიერებლად ფაბიან კანობიო და ვისენტე სანჩესი შეუშვა, მაგრამ უგო სანჩესის გუნდმა მალე მესამე გაიტანა — გუარდადომ ბრავოსავით გოლი შეაგდო. მანაც საჯარიმოს გარედან ამოსცხო ბურთს, რომელიც ხარიხას ქვემოდან მოხვდა, ხაზს შიგნით დაეცა და უკან გამოვარდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დევიდი და ამერიკა
## ჟოზემ დავბერდები და მეც მოვალო

**დევიდ ბექჰემის** ამერიკაში გადაბარგებამ „ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მაურინიუსაც ალუძრა ამერიკული მადა — ერთ მშვენიერ დღეს მეც მინდა აშშ-შიო, თქვა პორტუგალიელმა. გარდა ამისა, ბევრი სპეციალისტისგან განსხვავებით, მაურინიუს სწამს, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ფეხბურთთან მწყრალად მყოფი ამერიკელების გონს მოყვანა შეუძლია...

„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბექჰემის ამერიკაში გადასვლის მიზანი ამ ქვეყანაში ფეხბურთის პოპულარიზაციაა, ამისთვის კი მასზე უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვნიდნენ — განაცხადა მაურინიუმ — საქმე ის გახლავთ, რომ ის ფეხბურთელზე მეტია, ბექჰემი ძალიან დიდ ყურადღებას იპყრობს. მწამს, მას სხვა ფეხბურთელები მიბაძავენ და ამერიკისკენ გაეშურებიან, ხოლო 20 წელიწადი რომ გავა და სამწვრთნელო კარიერის დასასრულს მივუახლოვდები, მეც სიამოვნებით გადავბარგდები ოკეანის გაღმა. მართლა გეუბნებით, სიამოვნებით წავიდოდი ამერიკაში. ამერიკა საუცხოო ქვეყანაა, ხოლო ფეხბურთის წამოწევის ამოცანა მეტად საპატიოა...





AFP

...დიახ, ამერიკა დიდი სპორტის ქვეყანაა, მაგრამ აქ ხელის სახეობები იციან, ფეხისაზე კი წარმოდგენა არ აქვთ. ჰოდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის დევიდ ბექჰემზე უკეთეს კანდიდატს ამერიკელები ვერ ნახავდნენ, თუმცა ევროპას ის აშკარად მოაკლდება".

მაურინიუს უკვე რამდენიმე ზაფხულია, გუნდი სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში ამერიკაში ჩაჰყავს და, როგორც გვიმტკიცებს, ატყობს, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთის დონე იზრდება...

„ჩვენ აქ ამერიკულ გუნდებს ვეთამაშებით ხოლმე და ვატყობ, რომ მათ ტაქტიკური დონე და თამაშის ჟინი არ დაეწუნებათ. ვიცი, რომ ფეხბურთის თამაში ბევრ ამერიკელ ბავშვს უყვარს და საერთოდაც, მართალია, დარწმუნებული არ გახლავართ, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ამ სპორტს ამ ქვეყანაში რიცხობრივად საკმაოდ ბევრი ადამიანი მისდევს".

საინტერესოა, რომ თანამემამულეს სრულიად ეთანხმება პორტუგალიის ნაკრების ყოფილი მცველი, ამჟამად „ლოს ანჯელეს გალაქსის" წევრი, ანუ დევიდ ბექჰემის თანაგუნდელი აბელ შავიერი.

„დევიდი ძალიან დიდი ფიგურაა არა მხოლოდ ინგლისში, არამედ მთელს ევროპაში და მისი ამერიკაში ჩამოსვლაც ნამდვილი მოვლენაა. პირადად მე აღფრთოვანებული გახლავართ, რადგან კარიერის მანძილზე მის წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია. როდესაც აქეთ წამოსვლაზე ფიქრობდა, მე მას დავურეკე და ვურჩიე, წამოსულიყო, რითაც ძალიან კმაყოფილი გახლავართ. უკვე სამი კვირაა, რაც ლოს ანჯელესში ვარ და მინდა გითხრათ, მხოლოდ დადებითი შთაბეჭდილება შემექმნა, ხოლო დევიდის ჩამოსვლით, რასაკვირველია, ყველაფერი მაქსიმუმამდე გაიზრდება — მაყურებლის მოლოდინიცა და პრესის ინტერესიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია...

...აქ, ამერიკაში, როგორც ინგლისისგან, ასევე ზოგადად ევროპისგან, ფრიად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. დარწმუნებული გახლავართ, დევიდის ჩამოსვლით შეიცვლება ჩვენი გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც, თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერ მეტოქეს ამიერიდან განსაკუთრებით მოუნდება ჩვენი დამარცხება. შედარებისთვის, იმის თქმა შემიძლია, რომ MLS-ისთვის „გალაქსი" იგივეა, რაც „მანჩესტერ იუნაიტედი" ან „ლივერპული" პრემიერლიგისთვის".

**პაპუნა ქიდია**


ავრაამ გრანტი


შლომო შარფი

# ავრაამს შარფი შემოეხვია

**დიდი** ხანი არ არის, რაც „ჩელსის“ მეპატრონემ რომან აბრამოვიჩმა ლონდონური კლუბის საფეხბურთო საქმეთა დირექტორად, თავისი ნდობით უსაზღვროდ აღჭურვილი ავრაამ გრანტი დანიშნა, რაც „სარბიელის“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი.

დღეს გრანტის პიროვნებაზე გვინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ, უფრო სწორად კი, გითხრათ, თუ რას ფიქრობს მასზე ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი შლომო შარფი...

64 წლის შარფმა დაწერა წიგნი, სათაურით „წინ“, რომელშიც გრანტი ხან გიჟად და ხან პლასტიკატის სრიალა ადამიანად მოიხსენია.

„არასდროს დამავიწყდება, რა ხრიკებს მიწყობდა გრანტი, როდესაც მე ქვეყნის ნაკრებს ვწვრთნიდი, ის კი თელ ავივის „მაკაბის“ მწვრთნელი იყო. ფეხბურთელებს, რომელთაც მისი გუნდიდან ვიძახებდი, ის კატეგორიულად უცხადებდა, ვარჯიშისთვის მაქსიმალურად აერიდებინათ თავი. ამას ჰაერზე არ ვამბობ, ამის დამტკიცება საბუთებით შემიძლია. შემდეგ ის ჰაიფაში გადავიდა და 2001 წელს ეს გუნდი უეფამ ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთა. მიზეზი: ფინურ „ჰაკასთან“ შეხვედრაში ჰაიფელებმა არარეგისტრირებული ფეხბურთელი ათამაშეს. როდესაც სკანდალი ატყდა, გრანტმა კლუბის ყველა თანამშრომელს დასდო ბრალი, მეპატრონესაც კი გადასწვდა და თან განაცხადა, რომ კლუბის ოფისში ფაქსი არ მუშაობდა, რის გამოც მან უეფას დოკუმენტი ვერ მიიღო. მოკლედ, ყველა დამნაშავე იყო, მის გარდა“.

ბუნებრივია, შარფის ასეთ ბრალდებებს გრანტის გარემოცვამ დაუყოვნებლივ უპასუხა...

„ამ კაცს ისრაელის ნაკრების სათავეში ჩადგომის დღიდან მთავარ საქმედ ავრაამზე თავდასხმა ჰქონდა ქცეული — განაცხადა „ჩელსის“ დირექტორთან დაახლოებულმა პირმა — ნებისმიერმა ებრაელმა, ვისაც ფეხბურთი უყვარს, კარგად იცის, რომ შარფი ეჭვიანი და შურიანი კაცია, რომელსაც სხვათა წარმატებები აგიჟებს“.

როგორც ინგლისური პრესა წერს, ავრაამ გრანტი „ჩელსიში“ რომან აბრამოვიჩის თვალებისა და ხელების ფუნქციას შეასრულებს. ალბათ, ძალაუფლება მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ერთპიროვნულად რომ არ ჩაიგდოს ხელში.

**პაპუნა ძიძია**

# სერი... ოზული განცხადება

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი პრემიერლიგელი მეტოქეების რაობას უკვირდება და ტრადიციისამებრ, მეტად თავისებურ დასკვნებს აკეთებს. ამჯერად სერ ალექსის ასეთ გამონათქვამზე გვინდა თქვენი ყურადღების შეჩერება: „არსენალი“ ტიერი ანრის გარეშე უფრო ძლიერი გუნდი იქნება, ვიდრე მასთან ერთად იყოო.

მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ, „არსენალმა“ დიდი ფრანგი თავდამსხმელი 16 მილიონ გირვანქად კატალონიურ „ბარსელონას“ მიჰყიდა, რამაც ლონდონელთა ქომაგებს გვარიანად გაუფუჭა გუნებ-განწყობა და გააჩინა კითხვა: ნუთუ „არსენალის“ ახალ მეპატრონეებს თავმოყვარეობა და ტიტულების მოგების ამბიცია აღარ აქვთ?

და აი, პასუხიც, ოღონდ მათგან კი არა, ვისგანაც ამ პასუხს ითხოვდნენ, არამედ მისგან, ვისგანაც მას ნამდვილად არ ელოდნენ:

„ლონდონელები ძველებურად პრემიერლიგის წამყვან ძალად დარჩებიან. ისინი ოთხეულში ანრის გარეშეც შევლენ, და მეტსაც გეტყვით, ჩემი ღრმა რწმენით, ანრის გარეშე უფრო ძლიერებიც კი იქნებიან. მგონი, სწორედ ანრის წასვლის დრო იყო და არსენმა ეს ძალიან კარგად იცოდა. მოკლედ, „არსენალი“ ამ სეზონში გაძლიერდება“ — თქვა ფერგიუსონმა.

როგორც გაირკვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი იმაშიც დარწმუნებულია, რომ 30 წელს მიღწეული კაცის (თუნდაც ამ გუნდის მაისურით 226 გოლის ავტორის) 16 მილიონ გირვანქად გაყიდვა, აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი იყო.

ზემოთ ფერგიუსონმა პრემიერლიგის ოთხეული ახსენა. საქმე ის გახლავთ, რომ იმ 11 წლის განმავლობაში, რაც „არსენალს“ არსენ ვენგერი უდგას სათავეში, „მეთოფეებს“ სეზონი ოთხეულზე დაბლა არასდროს დაუმთავრებიათ.

**პაპუნა ძიძია**




## რონალდინიო კაჭკაჭსაც უნდა

**ინგლისური** პრესის ცნობით, „ნიუკასლმა“ ოფიციალურად მიმართა „ბარსელონას“ რონალდინიოს ტრანსფერის თაობაზე.

„კაჭკაჭები“ მზად არიან, ბრაზილიელ სუპერვარსკვლავში 58 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

ჯერჯერობით კლუბებს ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ.

## ორნი სიტიში

**„მანჩესტერ სიტიმ“** ორი ფეხბურთელი იყიდა — 24 წლის ფორვარდი როლანდო ბიანკი „რეჯინადან“ და 20 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველი ჟელსონ ფერნანდესი „სიონიდან“.

ბიანკიში, რომელმაც წინა სეზონში 18 გოლი გაიტანა, „სიტიმ“ 8 მილიონ 800 ათასი გირვანქა გადაიხადა, ხოლო ფერნანდესის სანაცვლოდ „სიონმა“ 3 მილიონ 800 ათასი მიიღო.

## შავი კატა ჩოპრა

**პრემიერლიგაში** დაბრუნებულმა „სანდერლენდმა“, რომელსაც როი კინი წვრთნის, „კარდიფიდან“ თავდამსხმელი მაიკლ ჩოპრა შეიძინა.

ფორვარდმა გასულ სეზონში 42 მატჩში 22 გოლი გაიტანა და მეორე დივიზიონის ბომბარდირებში მეორე იყო.

ჩოპრაში „შავმა კატებმა“ 5 მილიონი გირვანქა გაიმეტეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

## ფულემია თუ ჩრდილოეთ ირლანდია?

**ჩრდილოირლანდიელი** ფორვარდი დევიდ ჰილი, ვისაც ნაკრებში 56 მატჩში 29 გაუტანია, „ლიდსიდან“ „ფულემში“ გადავიდა.

ლონდონურ კლუბს ჰილის თანამემამულე ლოური სანჩესი თავკაცობს, ხოლო ლიდსელი მეოთხე ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი იქნება გუნდში.

ფორვარდმა სახელი შარშან გაითქვა, როცა ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრაში ესპანეთთან ჰეთ თრიქი შეასრულა.

ჰილის გარდა, „ფულემმა“ „ვესტ ჰემიდან“ მცველი პოლ კონჩესკიც იყიდა.

## ზოლიანი აილტონი

**33 წლის** ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი „დუისბურგმა“ „ცრვენა ზვეზდადან“ გადაიყვანა. „ვერდერში“ თამაშისას (2004) აილტონი 28 გატანილი ბურთით ბუნდესლიგის მთავარმეგოლე გახდა და წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

აილტონმა „ვერდერში“ ექვსი სეზონი გაატარა, მერე „შალკეში“ გადავიდა, საიდანაც „ბეშიქთაშში“ აღმოჩნდა, რასაც „გრასჰოპერი“ და „ცრვენა ზვეზდა“ მოჰყვა.

ბუნდესლიგაში მას 211 მატჩში 105 გოლი გაუტანია. „ზებრებთან“ („დუისბურგის“ მეტსახელია) აილტონმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ევერტონი შტუტგარტშია

**„სარაგოსას“** ბრაზილიელი ფორვარდი ევერტონი „შტუტგარტმა“ ერთი სეზონით ითხოვა.

2001-2005 წლებში ევერტონი „დორტმუნდში“ თამაშობდა და 47 გოლი მიითვალა. „სარაგოსას“ მაისურით კი ორ სეზონში 69 მატჩში 21-ჯერ შეაგდო.

„დორტმუნდამდე“ ევერტონი „კორინთიანსში“ და „რიო ბრანკაში“ იყო, ხოლო ბრაზილიის ნაკრებში ექვსჯერ ითამაშა.

## ბუტი არწივის ბუდეში

**„ლევერკუზენის“** ყოფილი მეკარე ჰანს-იორგ ბუტი ლისაბონის „ბენფიკაში“ გადავიდა. გერმანულ კლუბთან მას კონტრაქტი დაუსრულდა და 33 წლის გოლკიპერი „არწივებთან“ ორწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

„ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ პორტუგალიაში თამაში ვამჯობინე“ — თქვა ბუტმა, რომელმაც „ლევერკუზენში“ ექვსი სეზონი გაატარა და 191 მატჩში 7 გაიტანა, მანამდე კი „ჰამბურგში“ 133 მატჩში 19 გოლი შეაგდო.

## აიალამ მილიტო შეცვალა

**„ვილიარეალის“** არგენტინელი მცველი რობერტო აიალა ისე გადავიდა ამ გუნდიდან „სარაგოსაში“, რომ ერთი მატჩიც არ უთამაშია.

„ვილიარეალი“ თებერვალშივე მოურიგდა აიალას ტრანსფერზე „ვალენსიას“ და მომავალი სეზონი „ყვითლებში“ უნდა დაეწყო, მაგრამ გასულ შაბათს, „სარაგოსა“ ჩაერია საქმეში და 34 წლის არგენტინელი გადაიბირა. აიალა მათ გაბრიელ მილიტოს შემცვლელად უნდათ, რომელიც „ბარსელონამ“ წაიყვანა.

## ლორია გოლია

**„ატალანტას“** მეგოლე მცველი სიმონე ლორია „სიენამ“ იყიდა. 30 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონში 28 მატჩში 5 გოლი გაიტანა. მანამდე „კალიარიში“ თამაშობდა და იქ შვიდჯერ შეაგდო. ლორიამ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გარდა ამისა, „სიენამ“ ეციო ბრევი სერია B-ს „ვენეციაში“ გაუშვა.

**გაგა ხუციშვილი**

ბიბლიოთეკა



# სამოციანელთა დასასრული

„ლივერპულის“ თავკაცი რაფა ბენიტესი მომავალ სეზონში გულშემატკივარს გოლების წვიმას ჰპირდება, ასეთ სითამამეს კი ამასწინათ 38 მილიონ გირვანქად ფერნანდო ტორესის, რაიან ბაბელისა და იოსი ბენაიუნის ყიდვა სძენს.

„ლივერპულისა“ და გოლების საკითხი ჰაერიდან მოტანილი არ გახლავთ. საქმე ის არის, რომ ბენიტესის ხელმძღვანელობით მერსისაიდელებს სეზონში 60 გოლი ჯერ არ გაუტანიათ და ამის გამო ესპანელ მწვრთნელს გვარიანადაც აკრიტიკებენ. წერენ, რომ ის დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია, თუმცა ახლა, როდესაც ბაბელი და ბენაიუნი თავდასხმაში ან ფლანგებზე ითამაშებენ, დაცვით გატაცებას ბენიტესს ველარავინ გაუბედავს.

სტატისტიკიდან: გასულ სეზონში „ლივერპულმა“ 57 გოლი გაიტანა, ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი 83.

თუმცა, კინაღამ თავისუფალი ტრანსფერის სტატუსით ნაყიდი ანდრეი ვორონინი დაგვავიწყდა... ერთი სიტყვით, წლეულს, წესით, მართლა გოლების წვიმა უნდა მოვიდეს.

ბენიტესი: „დაცვაში ჩემს გუნდს ნამდვილად ვერაფერს ვუსაყვედურებდი, დაცვა კარგი გვქონდა, აი, თავდასხმა კი თავსატეხად გვექცეოდა. იცით, „ლივერპული“ პრემიერლიგის ნებისმიერ სხვა გუნდზე მეტს აწვებოდა, ურტყამდა და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდა, მაგრამ გოლები ვერ გაჰქონდა. იმედი მაქვს, რომ ამ სატრანსფერო სეზონზე შეძენილი ფეხბურთელების დახმარებით ჩვენი გუნდი მაღალ ბურთებსაც უკეთ ჩააწვდის და ჩაწოდებულსაც უფრო ზუსტად მიარტყამს ფეხს თუ თავს. „ვალენსიაში“ რომ ვმუშაობდი, სულ მყავდა სამი ან ოთხი ისეთი ფეხბურთელი, სეზონის მანძილზე 10-15 გოლის გატანა რომ შეეძლო...

...ზოგადად ასეა, თუ გყავს ფეხბურთელი, რომელსაც სეზონში 20 გოლის გატანა შეუძლია, ძალიან კარგია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ფეხბურთელი, შესაძლოა, დაშავდეს და სხვა გუნდებიც ამოისუნთქავენ, რადგან მათ ეცოდინებათ, რომ ჩვენთან ის ერთადერთი იყო, გოლის გატანა რომ შეეძლო. ასეთ დროს მეტოქისთვის თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება განსაკუთრებით იოლია...

...ერთი სიტყვით, მე ყოველთვის მირჩევნია, მოედანზე ოთხი ან ხუთი გოლის გამტანი ფეხბურთელი მყავდეს“.

შემდეგ, ბენიტესმა სიხარულით აღნიშნა, რომ ბაბელის და ბენაიუნის გამოჩენა მას თამაშის გამრავალფეროვნების საშუალებას მისცემს.

„ორივეს შეუძლია, როგორც ფრთაზე, ასევე მეორე თავდამსხმელად თამაში — განაგრძო ბენიტესმა — რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროების მიხედვით, მე გეგმის შეცვლას შევძლებ“.

ასე და ამგვარად, მიმდინარე სატრანსფერო სეზონში, ბენიტესმა უკვე დახარჯა დაახლოებით 50 მილიონი გირვანქა და მაინც იმედოვნებს, რომ აგვისტოს ბოლომდე დასახარჯი თანხა კიდევ გამოიძებნება.

ცნობილია, რომ ფეხბურთელი, რომელსაც ესპანელი სპეციალისტი სიამოვნებით იახლებდა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ განაპირა მცველი გაბრიელ ჰაინცე გახლავთ.

„კაცმა არ იცის, რა იქნება. თუ ჩვენთვის ზედგამოჭრილ ფეხბურთელს ვიპოვნით, იქნებ მისი საყიდელი ფული გამოჩნდეს კიდეც“.

ახლა კი თავად ახალშენაძენებს მოვუსმინოთ. ზემოთნაქები ბაბელი:

„მწვრთნელმა მითხრა, რომ რამდენიმე პოზიციაზე მომსინჯავს და რამდენიმე თვის განმავლობაში შევხედავ, რა იქნება ჩემთვის უკეთესი“.

ასევე ნაქები ბენაიუნი: „ავი კოჰენისა და რონი როზენტალის შემდეგ მე ვიქნები მესამე ებრაელი, რომელიც „ლივერპულის“ შემადგენლობაში ჩემპიონობას ვცდი. აქ ფული არაფერ შუაშია, მე, უბრალოდ, „ლივერპულზე“ ვოცნებობდი“.

და ბოლოს, ისევ ბენიტესს დავუბრუნდეთ, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ალექს ფერგიუსონს გადასწვდა:

„როდესაც ჩამოყალიბებული, ძლიერი გუნდი გყავს, ბევრი ფეხბურთელის შეძენა აღარ არის საჭირო. ასე არიან „არსენალი“ და „ჩელსი“, აი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი სხვაგვარად იქცევა და მართალი გითხრათ, მაოცებს. რად უნდოდათ მანჩესტერელებს ამდენი ახალი ფეხბურთელი?!“

**ბაჩუნა ძიძია**

# შევა მილანში მაინც ბრუნდება?

## ჰკითხეთ კრისტენ პაზიკს

ინგლისურ-იტალიური პრესის ცნობით, ანდრეი შევჩენკოს „მილანში“ დაბრუნების შანსი გაიზარდა. ამბობენ, უკრაინელი უახლოეს დღეებში შეხვდება „ჩელსის“ პატრონ რომან აბრამოვიჩს და მხარეები ამ საკითხზე მოილაპარაკებენო.

გავრცელებული ინფორმაციით, აბრამოვიჩი, შესაძლოა, დაჰყაბულდეს შევას 15 მილიონ გირვანქად გაშვებას. არადა, ეს თანხა იმის ნახევარია, რაც ლონდონელებმა მასში შარშან გადაიხადეს.



ანდრეის და კრისტენს ლონდონი მობეზრებიათ

კიევის „დინამოს“ ექსთავდამსხმელმა „მილანში“ 7 წელი გაატარა და გუნდის სიმბოლოდ იქცა. „როსონერის“ მაისურით მან მოიგო სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, იტალიის თასი, ევროპის სუპერთასი და „ოქროს ბურთი“. გასულ ზაფხულს კი გუნდიდან წავიდა.

საყოველთაო აზრით, შევჩენკოს გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა მეუღლემ კრისტენ პაზიკმა. ამერიკელ მოდელს ლონდონისკენ მიუწევდა გული, თუმც ახლა, შესაძლოა, პაზიკიც სიამოვნებით დაბრუნდეს მილანში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო აზრი გამოთქვა „ნაპოლის“ სპორტულმა დირექტორმა პიერპაოლო მარინომ, თუმც სად შევა და სად „ნაპოლი“, ცოტა არ იყოს, გაუგებარია: „რეალურია თუ არა შევჩენკოს დაბრუნება „მილანში“? ტრანსფერების სპეციალისტებს ამ კითხვას ნუ დაუსვამთ, აზრი არ აქვს. სჯობს, მის მეუღლეს ჰკითხოთ!“

და ერთიც გავიხსენოთ: ცოტა ხნის წინ, როცა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის კიდევ ერთხელ ჰკითხეს შევას შესაძლო დაბრუნებაზე კომენტარი, მან უპასუხა — „ანდრეის ხშირად ვეკონტაქტები. ბოლოს ახლახან ველაპარაკე და მან იცის, რაც უნდა გააკეთოს“.

**ბოკა ბანდელაკი**

# ნედვედს შავ-ლურჯი არ უხდება

## ტრეზეგეს თავში სკუდეტოებია

**ტურინის** „იუვენტუსის“ ჩეხმა ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა დაადასტურა, რომ „ინტერმა“ ძალიან მიმზიდველი წინადადება შესთავაზა და თითქოს „ნერაძურიში“ უნდა გადასულიყო, თუმცა ბოლო მომენტში გუნდში დარჩენა გადაწყვიტა, რითაც თავისი აგენტი მინო რაიოლა გაანაწყენა.

„ერთმა თანაგუნდელმა მითხრა, რომ კარგად არ გამოვჩნდებოდი „ინტერის“ შავ-ლურჯ მაისურაში. მეც ასე მგონია“ — ღიმილით აღნიშნა ვეტერანმა ნახევარმცველმა.

როგორც შემდგომში გაირკვა, ის ერთი თანაგუნდელი ჯონათან ძებინაა. ფრანგმა მცველმა თავად განუცხადა პრესას — პაველი ისედაც რჩებოდა, მაგრამ იმიტომ ველაპარაკე, რომ საბოლოოდ დამერწმუნებინაო.

პაველ ნედვედი: „ბედნიერი ვარ, რომ კვლავ აქ გახლავართ. ამ კლუბთან ერთად ბევრი გადამხდა და ყველაფრის წყალში ჩაყრა არ მინდოდა. ერთი ხანობა, კარიერის დასრულებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ფეხბურთი ზედმეტად მიყვარს იმისთვის, რომ სხვების თამაშს ვუყურო. მართალია, „იუვეს“ ხელმძღვანელობას ფინანსურ დეტალებზე ვერ ვუთანხმდებოდი, მაგრამ ყველაფერი გავაკეთე, რათა აქ დავრჩენილიყავი. არადა, „ინტერის“ გარდა კიდევ არაერთი მიმზიდველი შემოთავაზება მივიღე. ჩემი აგენტი მინო რაიოლა დღემდე ბრაზობს, მაგრამ სად ვამჯობინებ თამაშს, ჩემი საქმეა. „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორი ალესიო სეკო შინ სადილზე დავპატიჟე და ყველაფერზე შევთანხმდით, როგორც მეგობრები. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ტურინში ბევრი მეგობარი მყავს და წასვლა არ მინდოდა. თან ახალი მიზანი გვაქვს — ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება. ამჟამად, ძველებურად ძლიერი შემადგენლობა არ გვყავს და სკუდეტოსთვის ბრძოლა გაგვიჭირდება, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თვეზე მეტია დარჩენილი და, შესაძლოა, კიდევ დავიმატოთ ვინმე“.



პაველ ნედვედი და დავიდ ტრეზეგე

„ბიანკონერი“ მომავალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. კლაუდიო რანიერი გუნდს დიდიე დეშანისგან განსხვავებული მეთოდებით ავარჯიშებს. ტურინელთა ბანაკში ოპტიმისტური განწყობაა და ფეხბურთელები შემართულნი არიან. ამას „იუვეს“ ფრანგი ფორვარდი დავიდ ტრეზეგეც ადასტურებს.

„ჩვენ ორი სკუდეტო დავკარგეთ. მიუხედავად იმისა, რომ რომ ჩემპიონობას ვიმსახურებდით, ეს სკუდეტოები წაგვართვეს და ახლა მათი დაბრუნება გვინდა. ჩვენს თავში ახლა მხოლოდ ეს ტრიალებს. მიზნის მიღწევას მომავალ სეზონშივე ვცდით, „იუვესთვის“ მხოლოდ პირველი ადგილი არსებობს. ვფიქრობ, საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, მშვენიერი ტრანსფერები განვახორციელეთ. მიუხედავად ამისა, გასაგები მიზეზების გამო, „მილანი“ და „ინტერი“ ჩვენზე ცოტათი წინ არიან, მაგრამ ვთვლი, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას შევძლებთ. „ინტერთან“ მატჩები განსაკუთრებული იქნება. ამას უკვე წელიწადზე მეტია, ველოდებით“ — თქვა ტრეზეგემ.

**გიორგი ბაბაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არც მოღალატე ვარ და არც უმადური!

არგენტინელი ხავიერ სავიოლა მეთექვსმეტეა იმ ფეხბურთელთა შორის, „რეალში" თამაშის გამო „ბარსელონა" რომ მიატოვა. ოდესღაც კატალონიელ გულშემატკივართა საყვარელი „ბაჭია", დღეს უკვე „სამეფო გუნდის" ფეხბურთელია და ახლა ჯილდოების მოგებას „რეალისთვის" აპირებს...



AFP

— ბერნდ შუსტერმა სრული ნდობა გამოგიცხადათ. მწვრთნელის მხარდაჭერაზე რას გვეტყოდით?

— ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მწვრთნელი ფეხბურთელს ნდობას უცხადებს. ამის გამო თავს უფრო მშვიდად გრძნობ და საკუთარ ძალებში უფრო მეტად ხარ დარწმუნებული. „რეალში" კარიერის დასაწყებად შუსტერის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

— „რეალში" თქვენს გარდა რაული, ვან ნისტელროი, სოლდადო და იგუაინი თამაშობენ. შუსტერის გუნდის ძირითადში მოხვედრა ადვილი არ იქნება...

— ცხადია, „რეალის" დარ გუნდში თამაში ყოველთვის ძნელია, რადგანაც აქ დიდი კონკურენციაა და ყველას სურს ძირითადში მოხვედრა, თუმცა მომავალ სეზონში ჩემი შანსი მექნება. მთავარი კი ის არის, რომ ძლიერი გუნდი შევქმნათ და მაყურებელმა ჩვენი თამაშის ყურებით სიამოვნება მიიღოს.

— ბარსელონურ პრესაში „რეალში" თქვენი გადასვლის თაობაზე საკმაოდ მწვავე წერილები იბეჭდება. რას იტყვით ამის შესახებ?

— პრესას ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას. ბარსელონური მედია რასაც ამბობს, იმის გამო არც დეპრესიაში ვვარდები და არც ძალიან გახარებული ვარ. ახლა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, მოტყუებით კი არასოდეს არავინ მომიტყუებია. მოღალატე არ ვყოფილვარ და არც არასდროს ვიქნები.

— რა იგრძენით, როცა „რეალის" მაისურა ჩაიცვით?

— ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვარ. ამ შესანიშნავ კლუბში იმდენ დიდ ფეხბურთელს უთამაშია... ვამაყობ „რეალში" ყოფნით.

— „რეალთან" მოლაპარაკება როდის დაიწყეთ?

— სერიოზული მოლაპარაკება რამდენიმე კვირის წინ დავიწყეთ. როდესაც „რეალში" გადასვლის შანსი მომეცა, ბევრი არც მიფიქრია. წარმოიდგინეთ, რამხელა შესაძლებლობაა ასეთ გუნდში თამაში? გადაწყვეტილება უყოყმანოდ მივიღე.

— ფიქრობთ, რომ რაულისა და ვან ნისტელროის გვერდით არ გაგიჭირდებათ?

— დიახ, მაგრამ ეს დროის საკითხია. „რივერ პლეიტშიც" მაღალი დონის ფორვარდების გვერდით ვთამაშობდი. დარწმუნებული ვარ, მოედანზე ერთმანეთს მშვენივრად გავუგებთ და შევქმნით შესანიშნავ გუნდს, რომელსაც, თავის მხრივ, შედეგიანი თავდასხმის ხაზი ეყოლება.

— „რეალში" გადასვლაზე ადრეც ფიქრობდით თუ ამას ვერასდროს წარმოიდგენდით?

— წარმოდგენით, როგორ ვერ წარმოვიდგენდი. როდესაც „ბარსადან" წამოვედი და ვთქვი, რომ შემეძლო, ნებისმიერ სხვა გუნდში გამეგრძელებინა კარიერა, ცხადია, ამაში მადრიდის „რეალიც" ვიგულისხმე. დღეს „ბერნაბეუზე" ვარ და ძალიან მიხარია, ასე რომ მოხდა.

— „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ხავიერ სავიოლას მაიკლ ოუენისა და რაულის „ნაზავი" უწოდა. ამ ორი ფეხბურთელიდან უფრო მეტ მსგავსებას რომელთან პოულობთ?

— იცით, უფრო ხშირად ფეხბურთელი თავის თავზე ფიქრობს, ვიდრე იმაზე, თუ თამაშის სტილით ვის წააგავს... შედარებებს გულშემატკივრები აკეთებენ და თუ მათი რეაქცია დადებითი იქნება, თქმა არ უნდა, მესიამოვნება.

— „ბარსას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ აღნიშნა, რომ თქვენ კატალონიიდან წასვლისას ყოფილი კლუბისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ მადლობა ერთხელაც არ დაგცდენიათ...

— ვისაც ეკუთვნოდა, ყველას ვუთხარი მადლობა და მათ შორის პრეზიდენტ ლაპორტასაც. ამიტომაც ვერ გამიგია, მან ჩემზე რატომ გააკეთა ასეთი კომენტარი.

— თავს ნამდვილ მადრიდელად გრძნობთ?

— რახან ეს კლუბი მენდო და აქ თამაშის საშუალება მომცა, მეც მადლობა კარგი თამაშით და გატანილი გოლებით უნდა გადავუხადო.

— თვლით, რომ ბედნიერი იქნებით?

— იმედი მაქვს. ადამიანი ყოველთვის სრულყოფილი ბედნიერებისკენ მიისწრაფვის...



# ვინჩენცო მონტელა: დაბრუნება წარსულში

ვინჩენცო მონტელა ბედნიერია იმით, რომ ცხარწლიანი პაუზის შემდეგ „სამპდორიაში" დაბრუნდა. 33 წლის ფორვარდს გენუელთა რიგებში 1996-99 წლებში უთამაშია და ამ პერიოდში სერია A-ში 54 გოლი გაიტანა. „სამპდორიადან" მან „რომას" მიაშურა, რომელთან ერთადაც სკუდეტო მოიგო.

„ძალიან ბედნიერი ვარ. „სამპდორია" და მთლიანად გენუა ყოველთვის ჩემს გულში იყვნენ. მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს დავბრუნდი. აქაურობასთან ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებს. ჩინებული ურთიერთობა მქონდა ხელმძღვანელობასთან. იმედია, ფანების სიყვარულს კვლავ მოვიპოვებ" — განაცხადა მონტელამ.

„აეროპლანინო" კვლავ „რომას" საკუთრებაა. იგი „სამპდორიაში" იჯარით ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ წინა სეზონის ბოლო პერიოდი მან „ფულემში" გაატარა.

„ვწუხვარ, „რომას" დატოვება რომ მომიხდა. იქ ძალიან ბედნიერი ვიყავი და რამდენიმე დაუვიწყარი წელი გავატარე" — დასძინა მონტელამ.

მართალია, ბოლო წლებში, ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო, „აეროპლანინო" არცთუ დამაჯერებლად თამაშობდა, მაგრამ „სამპდორიასთვის" იგი მაინც სერიოზული შენაძენია. გენუელებმა მთლიანად გადაახალისეს თავდასხმა — გუნდი დატოვეს ფაბიო კალიარელამ და ფაბიო ბაცინიმ, ხოლო ფრანჩესკო ფლაკის კოკაინის მოხმარებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

„სამპდორიას" დირექტორი ბეპე მაროტა: „მოლაპარაკებები მოულოდნელად დავიწყეთ და მალევე შევთანხმდით. მონტელამ კარგი მოგონებები დატოვა გუნდში. თან იგი უბრალოდ კარგი ფორვარდი კი არა, ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული თავდამსხმელია. მას იდეალურ პირობებს შევუქმნით, რათა ფორმა ბოლომდე აღიდგინოს. თავად ვინჩენცოც ენთუზიაზმითაა სავსე".

**გიორგი ჭაჭაბაძე**

## სემიოლი და კიდევ ორი

**სერია A-ში** დაბრუნებულ „ნაპოლის" „კიევოდან" ფრანკო სემიოლის ყიდვა უნდა. ნახევარმცველს სერია B-ში თამაში აღარ სურს და მის გადაბირებას „ფიორენტინა" და „რომაც" ცდილობენ.

გარდა ამისა, ნეაპოლელები დაინტერესებულნი არიან მანუელე ბლაზით („იუვენტუსი") და დანიელე კაჩათი („პიაჩენცა").

გასულ სეზონში კაჩამ 28 მატჩში 14 გოლი გაიტანა.

## ემერსონი გაახსენდათ

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ემერსონი შეიძლება „მილანში" აღმოჩნდეს. „რეალის" ბრაზილიელ ნახევარმცველზე ივნისშიც ამბობდნენ, იტალიაში ბრუნდებაო, მაგრამ მერე ლაპარაკი შეწყდა.

ამბავი ახლა ისევ ამოტივტივდა, რადგან „მილანის" ფრანგი იოან გურკუფი ტრავმირებულია და კარლო ანჩელოტის ნახევარდაცვაში გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდება.

ემერსონის ფასი დაახლოებით 4 მილიონი გირვანქაა.

## ლუკარელის რიგანო შეცვლის

**დონეცკის** „შახტარში" გადასული კრისტიანო ლუკარელის შემცვლელად „ლივორნომ" კრისტიან რიგანო შეიგულა. „მესინას" ფორვარდი 6 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.

ტრავმების გამო რიგანომ გასულ სეზონში მხოლოდ 27 მატჩი ითამაშა, მაგრამ 19 გოლის გატანა მაინც მოასწრო.

იტალიური მედიის ცნობით, ფეხბურთელი „ლივორნოსთან" ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## ეს საწყალი კურდღელი

**„მილანის"** 52 წლის გულშემატკივარს დაჯარიმება ან ოთხწლიანი ციხე ელის ცხოველის შეურაცხყოფისთვის. მილანურ დერბიში კაცმა მოედანზე ცოცხალი კურდღელი გადააგდო.

თუ ციხე ასცდა, 10 ათას ევროს გადაახდევინებენ.

თავის დროზე, „ინტერის" ფანებმა მოპედი შეიტანეს სტადიონზე და ტრიბუნიდან ისროლეს.

**გაგა ხუციშვილი**

# კაკა: მადრიდის რეალზე არავისთან მილაპარაკია



**მადრიდის** „რეალს", კერძოდ კი, მის პრეზიდენტ რამონ კალდერონს, კაკას შეძენა რომ უნდა, კარგად მოგეხსენებათ.

მითქმა-მოთქმა ბრაზილიელის „რეალში" შესაძლო გადასვლაზე დიდი ხანია, მიდის. ცოტა ხნის წინ ესპანურმა „მარკამ" და „ასმა" ისიც დაწერეს, კაკამ „მილანის" ხელმძღვანელობას წასვლის ნებართვა სთხოვაო, თუმცა თავად ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ უარყო ეს ინფორმაცია.

კაკა: „ჩემი პრიორიტეტი „მილანია". „რეალში" გადასვლა არ დამიგეგმავს და ამ საკითხზე არავისთან მქონია მოლაპარაკება. ახლა ჩემი ერთადერთი გეგმა შვებულების ჩამთავრება და „როსონერისთან" ერთად ვარჯიშის გაგრძელებაა".

ესპანური პრესა კი მაინც არ ცხრება და „რეალში" მის შესაძლო გადასვლის თაობაზე ახალ-ახალ ინფორმაციებს ავრცელებს.

ასე გაგრძელდება ალბათ 31 აგვისტომდე, თუმცა მართლაც ძნელად სავარაუდოა, რომ ეს ტრანსფერი ამ ზაფხულს შედგეს.

**ჭოჭი ჭანდელაკი**

## ბრაზილია

**სერია A. XI ტური**

ჟუვენტუდე — ნაუტიკო 1:1; პარანა — ფიგეირენსე 1:2; ვასკუ და გამა — ატლ. პარანენსე 1:0; გრემიო — პალმეირასი 1:1; სანტოსი — ბოტაფოგო 3:0; სპორტ რესიფე — ატლ. მინეირო 2:0; ამერიკა — ინტერნასიონალი 1:2; კრუზეირო — გოიასი 2:1; კორინთიანსი — სან პაულუ 1:1

## აშშ

**MLS. XVIII ტური**

ვაშინგტონი — დალასი 3:3; ნიუ იორკი — ნიუ ინგლენდი 0:1; კანზასი — სოლტ ლეიკი 1:0; ჩივასი — კოლუმბუსი 2:1. *ჰიუსტონი — ტორონტო წუხელ გვიან დამთავრდა*

## ირლანდია

**პრემიერლიგა XVIII ტური**

დროჰედა — ბოჰემიანსი 1:0; სლიგო — გალვეი 1:1; სენტ პატრიკსი — ლონგფორდი 4:2. *შემროკი — დუბლინი დღეს გაიმართება, ბრეი — დერი გადაიდო*

## უკრაინა

**ვიშა ლიგა I ტური**

მეტალურგი (ზ) — კარპატი 1:0; მეტალისტი — ნაფტოვიკი 2:0; ზაკარპატია — ტავრია 1:0; დნიპრო — კრივბასი 2:0; ვორსკლა — ზარია 1:1; არსენალი — მეტალურგი (დ) 1:3; შახტარი — დინამო 1:1. *ჩერნომორეცი — ხარკოვი ზეგ გაიმართება*

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**ავსტრია** 2:1 დ.დ.(1:1) აშშ
ესპანეთი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) **ჩეხეთი**
**ჩილე** 4:0დ.დ.(0:0) ნიგერია
არგენტინა — მექსიკა
*წუხელ გვიან დამთავრდა*

## უნგრეთი

**სუპერთასი. ფინალი საპასუხო მატჩი**

დებრეცენი 3:0 ჰონვედი (1:1)

## შვედეთი

**ალსვენსკა XIV ტური**

ელფსბორგი — აიკ 2:0, ტრელებორგი — გაის 0:1; ჰელსინგბორგი — გიოტებორგი 2:2. *ბრომაპოიკარნა — გეფლე და ჰალმსტადი — იორებრო დღეს გაიმართება, მალმიო — იურგორდენი ხვალ, ჰამარბი — კალმარი კი ზეგ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 15 | 8 | 4 | 3 | 22:14 | 28 |
| კალმარი | 13 | 8 | 1 | 4 | 21:12 | 25 |
| ჰალმსტადი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:13 | 24 |
| იურგორდენი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:11 | 23 |
| მალმიო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:12 | 19 |
| გიოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| გაის | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| ჰამარბი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:14 | 18 |
| გეფლე | 13 | 4 | 5 | 4 | 13:14 | 17 |
| აიკ | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| იორებრო | 13 | 2 | 6 | 5 | 11:18 | 12 |
| ტრელებორგი | 15 | 3 | 2 | 10 | 14:29 | 11 |
| ბრომაპოიკარნა | 13 | 2 | 4 | 7 | 10:24 | 10 |

**სუპერეტა XIV ტური**

ჰეკენი — სილვია 1:2. *ფალკენბერგი — მიალბი, ნორჩიოპინგი — დეგერფორსი და იოსტერსი — ენჩიოპინგი დღეს გაიმართება*

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XVI ტური**

**ლუჩ-ენერგია 2:1 სატურნი**
0:1 კარიაკა (67), 1:1 ტიხონოვეცკი (713), 2:1 შეშუკოვი (74)

**ცსკა 0:1 დინამო**
0:1 პიმენოვი (43)

**ამკარი 0:1 სპარტაკი**
0:1 ტიტოვი (38)

**ყუბანი 1:1 ხიმკი**
1:0 ო. ივანოვი (15), 1:1 შიროკოვი (24)

**ტომი 1:2 მოსკვა**
1:0 კისელევი (19), 1:1 ბარიენტოსი (36), 1:2 პ. ბისტროვი (46)

**კრილია 1:2 ნალჩიკი**
1:0 ბობერი (78), 1:1 ჯუდოვიჩი (80), 1:2 ამისულაშვილი (83)

**ზენიტი 2:0 როსტოვი**
1:0 ა. დომინგესი (45), 2:0 არშავინი (90)

**რუბინი — ლოკომოტივი**
*ზეგ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 16 | 8 | 6 | 2 | 26:19 | 30 |
| სპარტაკი | 16 | 8 | 5 | 3 | 20:15 | 29 |
| დინამო | 16 | 7 | 4 | 5 | 21:15 | 25 |
| მოსკვა | 15 | 6 | 6 | 3 | 15:11 | 24 |
| ცსკა | 16 | 5 | 7 | 4 | 18:15 | 22 |
| კრილია | 16 | 6 | 4 | 6 | 18:18 | 22 |
| ლოკომოტივი | 15 | 5 | 5 | 5 | 18:19 | 20 |
| რუბინი | 15 | 6 | 2 | 7 | 15:16 | 20 |
| ტომი | 16 | 4 | 7 | 5 | 20:19 | 19 |
| ხიმკი | 16 | 4 | 7 | 5 | 17:16 | 19 |
| ამკარი | 16 | 4 | 7 | 5 | 15:15 | 19 |
| ლუჩ-ენერგია | 16 | 5 | 4 | 7 | 15:17 | 19 |
| ნალჩიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 14:18 | 18 |
| ყუბანი | 16 | 3 | 9 | 4 | 13:17 | 18 |
| სატურნი | 15 | 3 | 8 | 4 | 14:16 | 17 |
| როსტოვი | 16 | 1 | 7 | 8 | 11:24 | 10 |

## სლოვაკეთი

**I ლიგა. I ტური**

ჟილინა — ტრენჩინი 7:1; ნიტრა — ბანსკა ბისტრიცა 1:0; კოშიცე — სენეცი 0:0; არტმედია — მორავცე 5:0; რუჟომბეროკი — ტრნავა 2:0. *სლოვანი — დუბნიცა ზეგ გაიმართება*

## იაპონია

**თასის მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები**

**გამბა** 5:2 ურავა (1:1)
ტოკიო 2:4 **იოკოჰამა** (1:0)
**კავასაკი** 4:2დ.დ.(3:2) კოფუ (2:3)
**კაშიმა** 3:1 ჰიროშიმა (0:1)

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი X ტური**

ჰაფნარფიორდური — აკრანესი 1:1; კეფლავიკი — რეიკიავიკი 1:1. *ფილკირი — ბრეიდაბლიკი, კოპავოგური — ვიკინგური და ფრამი — ვალური დღეს გაიმართება*

## აზიის თასი 2007

**C ჯგუფი. II ტური**

უზბეკეთი 5:0 მალაიზია
ჩინეთი 2:2 ირანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| ირანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| მალაიზია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | 0 |

**D ჯგუფი. II ტური**

საუდეთი 2:1 ინდონეზია
ბაჰრეინი 2:1 სამხ. კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინდონეზია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბაჰრეინი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სამხ. კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

# კოპა ამერიკა 2007

**ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი**

COPA AMERICA VENEZUELA 2007

### ფინალი

**ბრაზილია 3:0 არგენტინა**

1:0 ჟულიო ბაპტისტა (5), 2:0 აიალა (40ს.კ.), 3:0 დანი ალვეში (69)

**ბრაზილია:** დონი, მაიკონი, ალექსი, ჟუანი, ჟილბერტო, ელანო (დანი ალვეში 34), მინეირო, ჟოსუე, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო (დიეგო 90), ვაგნერ ლავი (ფერნანდო 90)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გ. მილიტო, ჰაინცე, ვერონი (ლუჩო გონსალესი 67), მასკერანო, კამბიასო (აიმარი 59), რიკელმე, მესი, ტევესი

მწვრთნელი: ალფიო ბასილე

გაფრთხილება: ალექსი, მასკერანო, დონი, ჟილბერტო, ჟულიო ბაპტისტა, ტევესი, ჟოსუე

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

45 000 მაყურებელი




AFP

## ამხანაგური მატჩები

**13 ივლისი**

ოდენსე — მიდტიულანდი 3:0; არმინია — გროცლინი 0:1; რანდერსი — ორჰუსი 1:1; მიუნხენი — სპარტა 0:0; ლე მანი — რენი 2:1; კლოპენბურგი — ჰართსი 2:1; გუტერსლოჰი — რეინჯერსი 0:3; მონაკო — სენტ ეტიენი 0:2; პსჟ — ტრუა 1:0; ბოლმი — სერვეტი 1:3; პიტერბრო — სელტიკი 1:2; იორკი — ლიდსი 0:0; შიმიცუ — ლიონი 0:3; რედინგი — რივერ პლეიტი 1:3

**14 ივლისი**

კოტბუსი — ბანიკი 3:1; ესენი — ჰართსი 1:1; ვესტერლო — ვალვაიკი 0:1; რეგენსბურგი — ნიურნბერგი 0:4; აკრინგტონი — ბარნლი 1:1; ბარნეტი — არსენალი 0:2; დაგენემი — ვესტ ჰემი 0:2; დანდი იუნაიტედი — მილუოლი 2:1; ემენი — გრონინგენი 1:3; ექსეტერი — ნორვიჩი 2:1; გრეისი — ვულვერჰემპტონი 0:0; ჰალიფაქსი — შეფილდ უენსდი 0:3; მიონხენგლადბახი — ვუპერტალი 3:2; რუზელარე — ფოლკირკი 0:2; ტორკი — პლიმუთი 1:0; იოვილი — პორტსმუთი 0:2; აარაუ — კონკორდია 7:1; აინტრახტი — ვეჰენი 0:2; ციურიხი — ლევერკუზენი 1:0; ლე ავრი — კაენი 1:1; ბრიუგე — დენდერი 3:0; კობლენცი — მაკაბი (თელ ავივი) 2:0; მეცი — ბრიუსელი 0:4; მაასტრიხტი — კაიზერსლაუტერნი 1:3; სტარტი — კოპენჰაგენი 0:1; შტუტგარტი — ბოლესლავი 2:1; შალკე — მიდლსბრო 3:0; ჰერტა — რიეკა 0:0; ლილი — ამიენი 1:1; სოშო — რაპიდი (ბუქარესტი) 2:1; გრააფსხაპი — ტელსტარი 1:1; დენ ბოსხი — პორტუ 0:4; კაპფენბერგი — ლაციო 0:2; ნანსი — გრასჰოპერი 2:1; ობერჰაუზენი — დუისბურგი 1:2; ვალანსიენი — რეიმსი 2:1; ვერდერი — ბაზელი 0:2; ოსერი — შატორუ 2:0; სიონი — ლანსი 2:2; ქრიუ — ლივერპული 0:3; ბოლტონი — გვადალახარა 2:0; სეონგნამ ილჰვა — რასინგი 0:0; ჩესტერი — რეითი 1:1

**15 ივლისი**

ჩელსი — ამერიკა 2:1; ლიუნგბიუ — კოგე 0:1; ბეშიქთაში — ჰამბურგი 1:1; ლევსკი — შოპრონი 2:1; ქუინზ პარკი — სელტიკი 1:5; კიოლნი — გალათასარაი 0:0; ქაამაქსი — ლოზანა 3:0; სპარტა — დინამო (ბუქარესტი) 2:1; არმინია — ბლექბერნი 2:1; ლიპშტადტი — რეინჯერსი 2:4. *ესენი — სლავია (პრაღა) დღეს გაიმართება*

## ინტერტოტოს თასი 2007

**მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები**

კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) 0:4 ***გენტი (ბელგია)*** (0:2)
***ჰამარბი (შვედეთი)*** 1:0 კორკ სიტი (ირლანდია) (1:1)
***გლორია (რუმინეთი)*** 0:2 (პენ.3:2) მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) (2:0)
***ჰაიდუკი (სერბეთი)*** 5:0 მარიბორი (სლოვენია) (0:2)
***ოცელული (რუმინეთი)*** 3:0 სლავია (ბოსნია) (0:0)
***რუბინი (რუსეთი)*** 2:0 ზალაგერსეგი (უნგრეთი) (3:0)
სენტ გალენი (შვეიცარია) 0:1 (პენ.0:3) ***დაჩია (მოლდოვა)*** (1:0)
***ჩერნო მორე (ბულგარეთი)*** 3:0 ფკ მაკედონია (მაკედონია) (4:0)
***ოლბორგი (დანია)*** 1:1 ჰონკა (ფინეთი) (2:2)
ვლაზნია (ალბანეთი) 0:4 ***ტრაბზონსპორი (თურქეთი)*** (0:6)
სლოვანი (სლოვაკეთი) 1:0 ***რაპიდი (ავსტრია)*** (1:3)
შახტიორი (ბელარუსი) 0:2 ***ჩერნომორეცი (უკრაინა)*** (2:4)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:2 ***ტობოლი (ყაზახეთი)*** (1:1)

**მესამე ეტაპი**

ჰაიდუკი (სერბეთი) — ლეირია (პორტუგალია)
ჩერნო მორე (ბულგარეთი) — სამპდორია (იტალია)
გლორია (რუმინეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)
ოცელული (რუმინეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი)
ტობოლი (ყაზახეთი) — ოფი (საბერძნეთი)
დაჩია (მოლდოვა) — ჰამბურგი (გერმანია)
ჩერნომორეცი (უკრაინა) — ლანსი (საფრანგეთი)
რაპიდი (ავსტრია) — რუბინი (რუსეთი)
ვეტრა (ლიტვა) — ბლექბერნი (ინგლისი)
ჰამარბი (შვედეთი) — უტრეხტი (ჰოლანდია)
გენტი (ბელგია) — ოლბორგი (დანია)

*I მატჩები გაიმართება 21-22 ივლისს, საპასუხოები — 28-29 ივლისს*

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. II ტური**

ალტახი — რიდი 2:3; აუსტრია — ლინცერი 1:1; ტიროლი — შტურმი 0:0; პაშინგი — ზალცბურგი 1:0. *მატერსბურგი — რაპიდი 25 ივლისს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლინცერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ზალცბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| რაპიდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| მატერსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| პაშინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| აუსტრია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| შტურმი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ტიროლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ალტახი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XIII ტური**

მარიეჰამნი — ოულუ 0:0; ვაასა — ლაჰტი 1:0. *ტურკუ — კტპ დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20:14 | 29 |
| მიუპა | 13 | 6 | 4 | 3 | 17:10 | 22 |
| ჰაკა | 12 | 6 | 3 | 3 | 16:13 | 21 |
| ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 22:17 | 20 |
| ჰონკა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| ჰიკ | 13 | 3 | 8 | 2 | 16:16 | 17 |
| იარო | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 15 |
| ვაასა | 14 | 3 | 6 | 5 | 12:22 | 15 |
| კტპ | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ლაჰტი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:15 | 14 |
| ინტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:13 | 13 |
| ვიიკინგიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| ოულუ | 12 | 2 | 4 | 6 | 9:19 | 10 |
| მარიეჰამნი | 12 | 1 | 6 | 5 | 6:13 | 9 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღეჩუაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge